საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 64 (84) | სამშაბათი, 2 აპრილი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზ. კ. გამსახურდიას

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს და ქვეყნის პრეზიდენტის მისამართით მოდის უამრავი მომართვა, რომლებშიც გამოხატულია დიდი შეშფოთება ქალაქ ცხინვალსა და მთლიანად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ვითარების მკვეთრი გამწვავების გამო. დათარეშობენ ექსტრემისტები, იღვრება ოსთა და ქართველთა სისხლი, დაიწვა ათობით სოფელი, ადგილებიდან ერეკებიან მშვიდობიან მცხოვრებთ და ათასობით ლტოლვილი გაჭირვებას განიცდის.

ერთხელ კიდევ ვადასტურებ რა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს, გთავაზობთ დაუყოვნებლივ იღონოთ ყველაფერი იმისთვის, რომ შეაჩეროთ სისხლისღვრა, შეწყვიტოთ ექსტრემისტთა მოქმედება, აღკვეთოთ მათი განზრახვა, ხელთ იგდონ და მოსპონ დასახლებული პუნქტები, შეუდგეთ მოლაპარაკებას.

მ. გორბაჩოვი.

1991 წლის 30 მარტი.

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას ქალაქ ცხინვალსა და მის მიმდებარე რაიონში შექმნილი მდგომარეობის გამო, გაცნობებთ, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ განვახორციელეთ ღონისძიებანი, „რათა შეგვეჩერებინა სისხლისღვრა, შეგვეწყვიტა ექსტრემისტთა მოქმედება, აღგვეკვეთა მათი განზრახვა, ხელთ ეგდოთ და მოესპოთ დასახლებული პუნქტები". რესპუბლიკის მილიციის გადამწყვეტი მოქმედების მეოხებით მოხერხდა ექსტრემისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის განიარაღება, მათი განდევნა დაკავებული პოზიციებიდან და აგერ უკვე მთელი კვირაა, შედარებით სიმშვიდე სუფევს აღნიშნულ რეგიონში. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ერთნაირია ჩვენი დამოკიდებულება ექსტრემისტებისადმი, მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. კიდევ უფრო ადრე განიარაღებული იყვნენ ქართველი ექსტრემისტები მთელ საქართველოში.

საქართველოში მიმდინარე ამბების განზრახ ტენდენციურად გაშუქება პრესის, ცენტრალური ორგანოებისა და ცენტრალური ტელევიზიის მიერ ერთხელ კიდევ საფრთხეს უქმნის საბჭოთა საზოგადოებას, თვითონ ხდება საკუთარი პროპაგანდის მსხვერპლი. „მოლაპარაკების დაწყების თაობაზე" თქვენი წინადადების პასუხად პატივი მაქვს შეგნიშნოთ, რომ ფართო წრის საკითხების გამო ჩვენ დავიწყეთ მოლაპარაკება რუსეთის სფსრ ხელმძღვანელობასთან და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან, რომ არაფრით არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკა მოლაპარაკებას აწარმოებდეს ექსტრემისტებთან და ტერორისტებთან. საერთოდ შეწყვეტილია სროლა და მიღწეულია შედარებითი სტაბილურობა ცხინვალის რაიონში. რაც შეეხება ცეცხლის წაკიდებას, ცხინვალში დამწვარია ქართული სკოლები, ქართველთა უმრავლესობის სახლები, რაზეც რატომღაც თქვენ არაფერს ამბობთ.

ვიმედოვნებთ, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელობა თავს შეიკავებს აღნიშნულ რაიონში ვითარების შემდგომი დესტაბილიზაციისაგან, რადგან თქვენი დეპეშის შემდეგ მდგომარეობა ცხინვალის გარშემო კვლავ გამწვავდა.

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 1 აპრილი.

რიჩარდ ნიქსონი საქართველოდან გაემგზავრა

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, რომელიც ორ დღეს იყო საქართველოში, 31 მარტს მოსკოვს გაემგზავრა. გამგზავრების წინ ექსპრეზიდენტი ეწვია რესპუბლიკის დედაქალაქის რამდენიმე საარჩევნო უბანს, სადაც ამ დღეს მიმდინარეობდა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნები. მან დიდი შეფასება მისცა რეფერენდუმის და არჩევნების ორგანიზაციასა და დემოკრატიულობას, აღნიშნა, უფლება რომ მქონდეს, სიამოვნებით მივცემდი ხმას საქართველოს დამოუკიდებლობას.

ამის წინ რიჩარდ ნიქსონმა გამართა პრესკონფერენცია, უპასუხა შეკითხვებს, რომლებიც ეხებოდა საქართველოში მისი ყოფნის შედეგებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის უშუალო კონტაქტების განვითარების პერსპექტივებს.

საქინფორმი

შეხვედრა დიდი ბრიტანეთის ელჩთან

1 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა დიდი ბრიტანეთის ელჩს ბატონ როდრიგ ბრაიტვაიტს, რომელიც არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება საქართველოში.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ სტუმარს გააცნო სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებით 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის წინასწარი მონაცემები და აღნიშნა ის ერთსულოვნება და მხარდაჭერა, რომელიც გამოიჩინა საქართველოს მოსახლეობამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. სსრკ-ში დეკლარირებული გარდაქმნა ფაქტობრივად იგნორირებას უწევს ანექსირებული რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც გარდაქმნის აბსურდულობაზე მიუთითებს, ამიტომ ერთა თვითგამორკვევის პროცესს დიდად შეუწყობდა ხელს დასავლეთის პოლიტიკური წრეების აქტიური ჩარევა. სტუმარმა აღნიშნა, რომ მიესალმება ანექსიის შედეგების ლიკვიდაციის პროცესს. დიდი ბრიტანეთის პოზიციაა, სათანადო მხარდაჭერა გაუწიოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს, რომელთა მოძრაობა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად მიმდინარეობს. ელჩის წინადადებით, რამეთუ საერთაშორისო აზრი გარკვეულწილად დეზინფორმირებულია საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, არაშესაბამის შედეგს იძლევა ჟურნალისტების მიერ ვითარების გაშუქება, ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა მოითხოვს სამთავრობო დონეზე საკითხის განხილვას. ბატონმა ზ. გამსახურდიამ წამოაყენა კონსტრუქციული წინადადება, გამოიყოს საერთაშორისო სამთავრობო ექსპერტები, რომლებიც დააფიქსირებენ და განიხილავენ ყველა იმ პრობლემატურ საკითხს, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობების უფლებათა საკითხთან არის დაკავშირებული. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ არაერთგვაროვანია საქართველოს უზენაესი საბჭოს დამოკიდებულება ოპოზიციისადმი, ერთ ნაწილთან მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა და სხვაა დამოკიდებულება კრიმინალური ორგანიზაციებისადმი, რომლებიც ოპოზიციის სახელით გამოდიან.

შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების შესახებ.

ბატონმა ბრაიტვაიტმა აღნიშნა, რომ შეხვედრის შედეგები განხილული იქნება თავისი ქვეყნის სამთავრობო დონეზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

31 მარტს სამაჩაბლოს ქართული სოფლების მოსახლეობამ ერთსულოვნად მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამან გააღიზიანა ოსი სეპარატისტები და ექსტრემისტები. ამას დაემატა ის დეზინფორმაცია და აშკარა წაქეზება, რომელსაც ამ დღეებში ეწევიან პროგრამა „ვრემია" და ცენტრის სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

31 მარტს ღამით ცხინვალში კვლავ ატყდა სროლა. ბანდიტებმა ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის საგუშაგოებს. ღამის 11 საათიდან 1 საათამდე ოსი ექსტრემისტები ცხინვალის მხრიდან რაკეტებს უშენდნენ გორის რაიონის სოფელ ნიქოზს. ერთ-ერთი რაკეტა მოხვდა ლადო მჭედლიძის საცხოვრებელ სახლს. ლადო მჭედლიძე დაიღუპა, ხოლო იქვე მყოფი მისი თანასოფლელები გიორგი გაზაშვილი და ჯონი მარტაშვილი დაიჭრნენ.

1 აპრილს დღის განმავლობაში სროლა არ ყოფილა, მაგრამ ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში დაძაბულობაა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

საქინფორმი

8998

საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი (წინასწარი მონაცემები)

ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოს რესპუბლიკაში — 3.657.477.

რეფერენდუმის მონაწილეთა რაოდენობა — 3.302.572 (90,3%).

საკითხის დადებითად გადაწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა („დიახ" — 3.266.285, რაც შეადგენს რეფერენდუმის მონაწილეთა 98,9 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3 %-ს.

საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა („არა") — 17.400, რაც შეადგენს რეფერენდუმის მონაწილეთა 0,53 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 0,48 %-ს.

ხმა ღვთისა და ხმა ერისა

საქართველოს რეფერენდუმი და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები

ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების დამახასიათებელ ყველა თვისებათაგან მის არსს ყველაზე სრულად გამოხატავს თავისუფალი ნება — ზეგარდმო მონიჭებული წყალობა. უმისოდ წარმოუდგენელია ადამიანის თავდაპირველი შემოქმედებითი ენერგიის ხორცშესხმა და, მაშასადამე, არ შეიძლება იყოს თვით პიროვნებაც. ამიტომაც არის, რომ ყველა დანაკარგთაგან ყველაზე ძნელად ვურიგდებით თავისუფლების დაკარგვას. აქ, ეტყობა, მოქმედებს თვითდაცვის ინსტინქტი, თანაც არა ფიზიკური, არამედ სულიერი თვითდაცვისა, რაც არსებითად შეადგენს მოაზროვნე არსების — ადამიანის უმთავრეს ატრიბუტს. ამის საფუძველზე რამდენადმე სხვაგვარად განვმარტავთ ისეთი ინსტიტუტის შინაარსს, როგორიც არის მონობა. ყოველ შემთხვევაში მისი კლასიკური ფორმების შესახებ საუბრისას, როგორც ჩანს, უნდა გადავაადგილოთ ქრონოლოგიური აქცენტები. მაგალითად, ძველ რომში ვერ ნახავდით ისეთ მონას, რომელსაც არ ეოცნებოს ამ დამამცირებელი მდგომარეობიდან თავის დაღწევაზე, რაც მოწმობს სწორედ იმას, რომ იურიდიულად დამონებულნი ფაქტობრივად არასოდეს არ რჩებოდნენ მონებად, რამეთუ სულში მუდამ ენთოთ თავისუფლების წყურვილის ჩაუქრობელი ალი.

ახლა გადმოვიდეთ ჩვენს ეგრეთ წოდებულ განათლებულ ეპოქაში, რომელმაც ჯერ შვა მონობის იდეოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმის სახით, შემდეგ კი პრაქტიკულად სცადა ხორცი შეესხა მისთვის მსოფლიო მასშტაბით „საყოველთაო კეთილდღეობის" საზოგადოების, იმ საზოგადოების მშენებლობის გზით, სადაც ფაქტობრივად მონებს თავშიც კი არ მოუვიდოდათ ეფიქრათ თავიანთ უსუსურ არსებობაზე. გენეტიკური მონა — აი „დიადი მოძღვრების" საბოლოო მიზანი.

სამოცდაათი წლის მანძილზე თაობიდან თაობაში გვაყალიბებდნენ გენეტიკურ მონებად. ამ ხნის განმავლობაში ვისწავლეთ დემონსტრაციების დროს მწყობრად სიარული, ყველაფერზე თავისკანტური და ტაშისკვრა, ერთსულოვნად ვაძლევდით ხმას სხვადასხვა ფუძემდებელ დოკუმენტებს, დაჩემებული გვქონდა ერთი და იგივე ფრაზები. დაწრეტილი ინტერესების წრე თავიდან გვაცილებდა იმის საჭიროებას, რომ აქტივში გვქონოდა საუკუნეთა სიღრმიდან წინაპართაგან დატოვებული მრავალი სიტყვა — ან კი რისი მაქნისი იყო ჩვენს ყოფაში. ერთი სიტყვით, გაარხეინებულები თანდათანობით ვივიწყებდით წარსულს, სულ უფრო ნაკლებად ვფიქრობდით მომავალზე. გენეტიკური მონა დროით იზოლირებულია. იგი არსაიდან არსაით მიდის.

მაგრამ ბუნების სწორუპოვარი ჰარმონია არ ეპუება მისი საფუძვლების დამრღვევ შესწორებებს. ადამიანის თავისუფალი ნება უკვდავია. ამის დასტურია ამ ბოლო წლებში ჩვენ გარშემო მომხდარი ამბები, რომელთა შემოქმედნი იყვნენ ის ადამიანები, ათწლეულების მანძილზე, დღიდან დღემდე, ყოველ საათს და ყოველ წუთს ყველა წარმოდგენილი და წარმოუდგენელი საშუალებით რომ აქცევდნენ სწორედ იმ გენეტიკურ მონებად. უცებ აღმოჩნდა, რომ ხალხთა თავისუფალი ნება, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე აშთობდნენ, არ ჩამკვდარიყო. იგი ფოლადის ზამბარასავით იჭიმებოდა და თანდათანობით ყოვლისმძლე ძალას იძენდა. ხოლო როცა გასწორდა, წამში დაანგრია მქუხარე ტაშის, ყველაფერზე თავისკანტურის, ყოველგვარი ბელადების, მასწავლებლებისა და მედროშეების აზრთა გარდაუვალობის ყალბი შენობა. ასე გასრულდა უკუნი ღამე, თუმცა ბოროტების იმპერიის ხელმოუთავებელი ჯოჯოხეთური მექანიზმი კვლავინდებურად ლამობს ჩაახშოს ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისადმი. სწრაფვა, რომელიც შევიგრძენით 1989 წლის აპრილის ღამეს, სულ უფრო ფართოდ შლის ფრთებს, დღემდე განუცდელი სიხარულით აღგვივსებს სულს მიუხედავად იმისა, რომ ქრონიკულად გვაკლია ყველაფერი, რაც გვჭირდება ჩვენი ხორციელი არსებობისათვის. ღმერთმანი, საოცარია!

დამოუკიდებელ საქართველოს უკვე ხმა მივეცით სულ ცოტა ორჯერ — 1989 წლის 9 აპრილს და 1990 წლის 28 ოქტომბერს. მაგრამ 31 მარტის რეფერენდუმი საჭირო იყო იმისათვის, რომ უკვე იურიდიულად დაგვემკვიდრებინა საქართველოს მოსახლეობის ნება-სურვილის გამოხატვა. აქედან გამომდინარეობს მასზე გამოტანილი ერთადერთი კითხვა: „ეთანხმებით თუ არა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?"

ბზობა მთელი საქრისტიანოს ნათელი დღესასწაულია, მას დაემატა ჩვენი ეროვნული დღესასწაულიც — რეფერენდუმი. მილოცვები, ამ დღეს რომ გაისმოდა ქუჩებში, განსაკუთრებით თბილად ჟღერდა, ადამიანებიც თითქოს უფრო გალამაზდნენ. ეს ბუნებრივია — ადამიანი, რომელმაც შეიგრძნო, რომ საკუთარი თავის უფალია, უახლოვდება სრულყოფილებას და, მაშასადამე, გარეგნულადაც აუცილებლად იცვლება. რა თქმა უნდა, ზოგ-ზოგები შეეცადნენ ჩაემწარებინათ ჩვენთვის ეს დღესასწაული. წინადღით ცენტრალური ტელევიზიით დაგვიცაცხანეს, ეს რა დღეში ჩაგვიგდიათო ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი. პარადოქსი ის გახლავთ, რომ სწორედ იმან დაგვიცაცხანა, ვინც ასეთ დღეში ჩააგდო ქართველებიც და ოსებიც. თავის გამოდების მიზანიც აშკარაა — როგორმე მოეხდინათ გავლენა რეფერენდუმის შედეგებზე, შეეჩერებინათ, დაემუხრუჭებინათ იმპერიის ხალხთა მისწრაფება თავისთავადობის, თავისი კოსმოსის აღდგენისადმი.

მაგრამ არ გაუვიდათ. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის დაწყებისათვის ჩვეულებრივი სამუშაო ატმოსფერო სუფევდა. სხვათა შორის, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტი საზრუნავი გვქონდა ამ დღეს. რაღა თქმა უნდა, უჭირდათ კომისიის წევრებს, მის სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ამზადებდნენ ისეთ მნიშვნელოვან აქციებს, როგორიც არის საერთო-რესპუბლიკური რეფერენდუმი და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნები. თითქოსდა ყველაფერი გაითვალისწინეს. წინასწარ მისცეს ახსნა-განმარტებანი ადგილებზე. მაგრამ ბოგდანოვკიდან პირველმავე ზარმა მოითხოვა დაწვრილებითი კონსულტაცია, რომელიც ტელეფონით მისცა იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა დავით უსუპაშვილმა. რეფერენდუმისა და არჩევნების მთავარ შტაბში არც ერთი წუთით არ წყდებოდა ტელეფონის ზარი, აურიდნენ კითხვებს, ითხოვდნენ — დახმარებოდნენ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრაში. პასუხს მაშინვე იღებდნენ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრები მიემგზავრებოდნენ ადგილებზე. და ასე იყო მთელი დღის განმავლობაში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემჩნეული რეფერენდუმის დამახასიათებელი ნიშანი: აქ იღებდნენ ცნობებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შექმნილი საარჩევნო უბნებიდანაც. საქმე ის არის, რომ რეფერენდუმმა ადამიანთა ყოფილი გულგრილობის კვალიც კი არ დატოვა. მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, კავკავში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა.

ცენტრალური კომისიის ტელეფონის ხაზზე გამუდმებით იყო მთელი რესპუბლიკა. რეფერენდუმისა და არჩევნების მიმდინარეობის შესახებ პირველი ოპერატიული ცნობები ადგილებიდან აქ უკვე მოვიდა დილის ცხრა საათისათვის. ქალაქებთან და რაიონებთან კავშირის მომდევნო სეანსები გაიმართა 14, 18 და 23 საათზე., ხოლო შუაღამისათვის წამოვიდა დეპეშები — დადასტურებანი, მათ მოჰყვა რეფერენდუმის საოლქო კომისიათა ოქმები კენჭისყრის შედეგების შესახებ.

— საერთოდ, შეიძლება დაბეჯითებით აღვნიშნოთ საქართველოს მოსახლეობის უაღრესად აქტიური მონაწილეობა რეფერენდუმში, — თქვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ხმალაძემ. — პრაქტიკულად მთელი რესპუბლიკა მოვიდა საარჩევნო უბნებში. რეფერენდუმი არ გამართულა მხოლოდ ქალაქ ცხინვალში, ჯავის და ყორნისის რაიონებში. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ საარჩევნო უბნები არ გახსნილა მხოლოდ ქალაქ ტყვარჩელში, მის მცხოვრებლებს საშუალება ჰქონდათ ხმა მიეცათ ოჩამჩირეში, ხოლო გუდაუთის რაიონში საარჩევნო უბანი შეიქმნა მხოლოდ სოფელ ახალსოფელში. გვახარებს ჯავახეთის მოსახლეობის დიდი სამოქალაქო აქტიურობა...

კიდევ ერთი დეტალი.

თბილისელებმა არ ისურვეს ესარგებლათ ფარული კენჭისყრის უფლებით.

— რა მაქვს დასაფარი და დასამალი, — გვითხრა რესპუბლიკური პროკურატურის თანამშრომელმა კიაზო ჰანტურიამ. — მე მხარს ვუჭერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას და მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება თავისუფლად გამომეხატა ჩემი აზრი.

— ხმის მისაცემად ერთ-ერთი პირველი მოვიდა აზერბაიჯანელთა ოჯახი, — ამბობს საბურთალოს რაიონის №19 საარჩევნო ოლქის [illegible] საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლიანა ხარშილაძე. — მათთვის თურმე მოსაწვევი ბარათები არ მიეტანათ და სასწრაფოდ გამოეშურნენ ჩვენთან, რათა ერთმნიშვნელოვნად გაეცათ პასუხი ბიულეტენში დასმულ კითხვაზე. ჩვენს უბანში რეგისტრირებულია 3352 ამომრჩეველი. კენჭისყრა ყველა მოთხოვნის დაცვით მიმდინარეობს.

აქ დამატებითი სიის გახსნაც მოუხდათ. მასში სხვებს შორის წავიკითხეთ გვარები: ლუდმილა ჟდანოვა, ალფრედ ოვანესიანი, ნინო ანტონოვა...

სოხუმი. დიდი ხანია, რაც ამ მშვენიერი ქალაქის ქუჩებში არ ყოფილა ასეთი ხალხმრავლობა და სადღესასწაულო საზეიმო ატმოსფერო, როგორც მარტის ამ კვირა დღეს. ხალხი დილიდანვე მიედინებოდა სარეფერენდუმო უბნებისაკენ, რათა ხმა მიეცათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

სოხუმის 26 სარეფერენდუმო უბანში ხმის მისაცემად პირველები მოვიდნენ ვაჟა-ფშაველას ქუჩის მცხოვრებნი — 1900 წელს დაბადებული ვლადიმერ კაკუბერი და მისი მეუღლე ნინა დოლიძე. კომისიის წევრები მოკრძალებით შეხვდნენ ხანდაზმულ ადამიანებს და სარეფერენდუმო ბიულეტენები მიაწოდეს. ვ. კაკუბერმა კმაყოფილებით თქვა: მე მოწმე ვარ და ჩემთვის დაუვიწყარია ის დღე, როცა გავიგე 1918 წლის 20 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ახლაც ბედნიერება მხვდა წილად, მოხუცებულობის ჟამს, ხმა მივცე საკუთარი თავის, საკუთარი შვილების, საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონეთა სიებში, აფხაზეთის ქალაქების ამ რაიონებში შეტანილი იყო 340400-ზე მეტი მოქალაქე. წინასწარი მონაცემებით სარეფერენდუმო უბნებში გამოცხადდა და მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 62 პროცენტმა. აქედან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა 98-ზე მეტმა პროცენტმა.

დავათვალიერეთ სარეფერენდუმო უბნები, სადაც კომისიათა წევრებმა აღნიშნეს, რომ რეფერენდუმში ქართველებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ რუსები, სომხები, ესტონელები, ბერძნები. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე აფხაზი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა.

რეფერენდუმის დღეს აფხაზეთში ჩამოსულმა უცხოელმა მეთვალყურეებმა, რომელთა შორის იყვნენ წარმომადგენლები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჩინეთიდან, სირიიდან, ერაყიდან, აგრეთვე ლიტვიდან, ესტონეთიდან, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ რეფერენდუმი აფხაზეთში ჩატარდა დემოკრატიულ ატმოსფეროში.

ბათუმი. კვირა დილას ბათუმში წვიმდა. მიუხედავად ამისა, უკვე შვიდი საათისათვის საარჩევნო უბნებისაკენ, რომლებმაც სტუმართმოყვრულად გააღეს კარი, დიდძალი ხალხი დაიძრა.

რუსთაველის საარჩევნო ოლქის №4 საარჩევნო უბანი განლაგდა საბავშვო ბაღის შენობაში. აქ პირველი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გელა თოფურია მოვიდა.

— ორ მარტს 18 წელი შემისრულდა, პირველად ვაძლევ ხმას, — თქვა მან, — მნიშვნელოვანია, რომ მრავალპარტიულ საფუძველზე საკრებულოს არჩევნებიც და რეფერენდუმიც საქართველოში პირველად ეწყობა. ვეუბნები „დიახ" საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას.

— გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს — ამ სიტყვებით ჩაუშვა ურნაში ბიულეტენი ჰოვანეს ტონოიანმა. — ყოველთვის ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ბათუმში, — ამბობს იგი. — ახლა პენსიაზე ვარ და არსად არ ვაპირებ აქედან წასვლას. აქ არის ჩემი სამშობლო. დარწმუნებული ვარ, იგი დამოუკიდებელი გახდება.

— ამომრჩეველთა სია ჩვენთან დიდი არ არის — 1.223 კაცი, — თქვა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სერგო ბაზიაშვილმა. — მაგრამ, როგორც ხედავთ, დილიდანვე აქ ხალხმრავლობაა. ადამიანები ნამდვილად ცხოველ ინტერესს იჩენენ თავიანთი მომავალი რჩეულებისადმი, ისე კი არა, როგორც წარსულ წლებში იყო...

გოგებაშვილის საარჩევნო ოლქის ერთ-ერთი საარჩევნო უბანი განლაგდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბომავალ „ასპინძაზე", რომელიც ნავსადგურს მოადგა.

— ჩვენი ეკიპაჟი 22 კაცისაგან შედგება, — ამბობს საუბნო კომისიის თავმჯდომარე, კაპიტნის უფროსი თანაშემწე ამირან მგელაძე. — გემზე შრომობს ქართველი და რუსი, უკრაინელი და ებრაელი, ბერძენი და სომეხი. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ღირსება შელახულიყო ამა თუ იმ ერისადმი კუთვნილების გამო. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. მისი 22 წევრი — ეს არის 22 ხმა თავისუფალი საქართველოსათვის.

— და კიდევ, — მხარი დაუჭირა კოლეგას მესამე მექანიკოსმა პანაიოტ კუსიმა, — ეს არის 22 ხმა საკრებულოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატებისათვის. ვფიქრობ, არჩევანში არ შევცდებით.

როგორც ბათუმის საქალაქო კომისიის თავმჯდომარემ იური ბიბილეიშვილმა გვაცნობა, რეფერენდუმში მონაწილეობდა 77.307 კაცი, რაც შეადგენს ამომრჩეველთა რიცხვის 97,9 პროცენტს, საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა 75.291 კაცმა — 97,4 პროცენტმა. წინააღმდეგ — 1.258 კაცმა, ბათილი აღმოჩნდა 758 ბიულეტენი. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობდა 70.114 კაცი — ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 88,7 პროცენტი.

ქუთაისი. ძნელი წარმოსადგენია, რას იტყოდა მეფის რუსეთის არმიის გენერალი, გრაფი პეტრე ორლოვი, მისთვის რომ ეთქვათ: გაივლის საუკუნეზე ცოტა მეტი და შენი შთამომავლები საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას მისცემენო ხმას, — მე მგონი ამ ფაქტს იგი სიამაყით შეხვდებოდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს პეტრე ორლოვის შვილთაშვილმა, ქუთაისელმა სერგო ორლოვმა. — ჩემმა დიდმა პაპამ არჩევანი ჯერ კიდევ მაშინ გააკეთა, როცა კავშირი გაწყვიტა ხელისუფლებასთან და ქართველი აზნაურის ქალზე იქორწინა. რაც მთავარია, სათავე დაუდო იმერელი ორლოვების მრავალრიცხოვან გვარს. მე ისიც მეამაყება, რომ თავის დროზე ქართული დივიზიის ოფიცერი ვიყავი. ამდენადაც, იმედის თვალით შევყურებ გვარდიის პირველ ნაბიჯებს. დამოუკიდებლობა და თავისუფლება მხოლოდ მაშინ არის მყარი, როცა მისი დაცვა შეგვიძლია.

— ჩემთვის 31 მარტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, — თქვა ოთხმოც წელს გადაცილებულმა, ქუთაისის მერვე საარჩევნო ოლქის 45-ე უბნის ამომრჩეველმა ეკატერინე პოლოკავამ. — მე თავისუფალი საქართველოც მახსოვს და ბზობის დღესასწაულიც იმ თავისუფალ საქართველოში, დავიბადე და გავიზარდე სადაც პეტრე-პავლეს ეკლესიის უბანში, მის მახლობლად დასავლეთ საქართველოს სახელოვანი ოჯახები სახლობდნენ. ემხვარები, ჩიქვანები, წერეთლები... მათ დიდი წვლილი შეჰქონდათ მაშინდელი საქართველოს და ქუთაისის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, სამოცდაათი წლის მანძილზე განსაცდელს თითო-ოროლაღა თუ გადაურჩა. ახლა, როცა ხმას ვაძლევ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ხმას ვაძლევ იმ ღირსეულ, ტრადიციულ ოჯახებსაც. ბედნიერი ვარ, რომ ამ დღეს მოვესწარ და ვხედავ ასეთ ერთსულოვნებას საარჩევნო უბნებში.

— რეფერენდუმმა და ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებმა ქუთაისში, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმავლობით ჩაიარა, — განმარტა ქალაქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვიტალი ბაკურაძემ. — საღამოს ექვსი საათისთვის სამმანდატიან ჩვიდმეტივე ოლქის საარჩევნო უბნებში თავისი ნება უკვე გამოხატა ამომრჩეველთა თითქმის ოთხმოცდაათმა პროცენტმა. მათ შორის არაქართველი მოსახლეობის იმ ხუთმა პროცენტმა, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს. თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ გაუგებრობებს, დარღვევები არ ყოფილა. ასეთივე აზრი გამოთქვეს ამერიკელმა, ინგლისელმა, ფინელმა, ესტონელმა მეთვალყურეებმაც. ამ ბოლო დღეებში და განსაკუთრებით რეფერენდუმის დღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჩვენი თანაქალაქელებისაგან უამრავი წერილი თუ დეპეშა მივიღეთ, რომლებშიც ადასტურებენ, რომ ხალისით მისცემდნენ ხმას საქართველოს დამოუკიდებლობას.

ახალქალაქი. წინასწარი მონაცემებით აქ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებში. მათმა 95 პროცენტმა თქვა „დიახ" საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ.

ასეთი დიდი აქტიურობა ჯერ არ ახსოვთ რაიონში. შედარებისათვის ვიტყვით, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა რაიონის ამომრჩეველთა 73 პროცენტი.

როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა მამიკონ ფიდანიანმა გვითხრა, პოლიტიკური აქტიურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიმართვა ჯავახეთის სომეხი მოსახლეობისადმი და ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა აღდგება 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ხმის მიცემისას განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს სოფლების დილისკის, კოთელიის, ალასტანის, ვარევნის ამომრჩევლებმა.

ამომრჩეველთა ანალოგიური აქტიურობა აღინიშნა ნინოწმინდის რაიონშიც.

მოსკოვი. ერთდროულად სტუმრად და მასპინძლად წარმოგვიდგა 31 მარტს მოსკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი ხათუნა მითაიშვილი. მან ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას და განაგრძო მუშაობა რეფერენდუმის მოსაწყობად კომისიაში, რომელიც შეიქმნა მოსკოვში რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში.

ამასობაში აქ მოსულ სტუდენტთა, ასპირანტთა, საქართველოდან მივლინებულთა რიცხვი ყოველ საათს სულ უფრო იზრდებოდა. თანამოქალაქენი, რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო მოსკოვში აღმოჩნდნენ, ჩქარობდნენ გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღორძინების იდეისადმი.

ჩამოსულთათვის ნება-სურვილის გამოხატვის ასეთი ხელსაყრელი შესაძლებლობის შესახებ წინასწარ აფრთხილებდა ხალხს ფალიაშვილის ქუჩის № 6-ში მოთავსებული მუდმივი წარმომადგენლობის შენობის შესასვლელთან გამოკრული ცნობა. „ყველას, — ნათქვამი იყო მასში, — რომლებიც ჩაწერილი არიან საქართველოში, მაგრამ დროებით ცხოვრობენ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, აგრეთვე იმყოფებიან სამკურნალოდ, დასასვენებლად და ა. შ. შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში".

— მართალია, მომზადების დროს ბევრი სიძნელე გვქონდა, — ამბობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე კახა ლომაია. — ადვილი არ იყო მოგვეძებნა მოსკოვში ჩვენი რესპუბლიკის აქ აღმოჩენილ მცხოვრებთა უმრავლესობა. მაგალითად, 75 უმაღლეს სასწავლებელში მისვლასა და დარეკვაში დაგვეხმარნენ ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლები, თვით სტუდენტები. წარმოიშვა სხვა პრობლემებიც. მაგალითად, სიების გარეშე აღმოჩნდნენ და ამიტომ ძალზე განიცდიდნენ მოსკოვში მუდმივად ჩაწერილი ქართველები. გამოსავალი გამოინახა — მათ შეადგინეს განცხადებანი, რომლებშიც გამოხატავდნენ რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხის მხარდაჭერას.

...მთავრდება კენჭისყრა მუდმივ წარმომადგენლობაში. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მისი პრესცენტრის ხელმძღვანელებმა გაგვაცნეს პირველი შედეგები: 978 კაციდან, რომლებიც ხმას აძლევდნენ თბილისის სიით, 969-მ უთხრა „დიახ" საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, წინააღმდეგი იყო ორი, დანარჩენი ბიულეტენები ბათილად ცნეს. აფხაზეთის 173 მცხოვრებთა შორის, რომლებიც ხმას აძლევდნენ მოსკოვში სოხუმის სიით, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მოიწონა 171 კაცმა. და, ბოლოს, ამ ბოლო მომენტში აქ ჩამოსული და დამატებითს სიაში შეტანილი 957 კაციდან 949-მ დადებითი პასუხი გასცა.

ადგილებიდან რეპორტაჟებს გადმოსცემდნენ საქინფორმის კორესპონდენტები თამაზ გენძეხაძე, ზურაბ ბრძელიშვილი, თენგიზ გრიგალაშვილი, ედუარდ ედიბერიძე, ზურაბ კვარაცხელია, მაკა კილაძე, თენგიზ ჯიბუტი და „საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი იოსებ ბოგეჩია.

სურათებზე: ხმას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია; გრძელი რიგი ჩამწკრივდა საქართველოს დედაქალაქის ვაკის რაიონის მე-15 ოლქის 82-ე უბანში.

გივი კიკვაძისა და პაატა არჩვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პუბლიცისტიკა

არჩევანი

ხნოს ალტაცება არც ჩვენ გვჭვევია, კრიტიკული განსჯის უნარი ჩვენც გაგვაჩნია და არც ჩვენ მოგვწონს ყველაფერი, ბატონებო! პირადად მე სიკვდილი მირჩევნია გაზეთის იმ ნომრებში ჩახედვას, თავახეთქილი არქივებიდან ბეჭედდასმული ქაღალდებით რომ ყოფილ პოლიტპატიმართა კომპრომისებზე გვესაუბრებიან. იმ ადრეული, სიყმაწვილის გარიჟრაჟები უფრო მახსოვს, ის წამები უფრო ტკივილით მიცოცხლდება, სამშობლოს დასაცავად ხმამაღალი სიტყვისათვის ციხეებში რომ მიერეკებოდნენ გოგო-ბიჭებს — თამრიკო ჩხეიძეს, ზურაბ ჭავჭავაძეს, ირაკლი წერეთელს, გია ჭანტურიას... მაგრამ შემახილით ხე გახმაო, მეგობრებო, ნათქვამია... და ღმერთი, რჯული, ეს შეცდომები მე ამ შემახილის ბრალიც მგონია. ეროვნული მთავრობის ე. წ. ოპოზიციისაგან ამ გაუთავებელი ლანძღვა-გინების ბრალიც. რაც შეეხება პრეფექტებისა და პოლიტიკური პორტფელების გადანაწილების გარშემო ატეხილ ვნებებს, სულ ის მახსენდება, რეზო ჭეიშვილმა რომ იხუმრა რუსთაველის პრემიასთან დაკავშირებული მორიგი ვნებათაღელვის გამო — რას იკლავენ ეს დალოცვილები თავს, დავიცადოთ პატარა ხანს, რიგით ყველას მოგვიწევსო...

თუ დიდი რუსთაველის პრემიის მისაღებად რიგში ჩადგომა კმარა და შეიძლება, თქვე დალოცვილებო, ეს მინისტრობა და პრეფექტობა რა გახდა ასეთი. ეს იუმორის გრძნობაც რა გახდა ასეთი, ვიხუმროთ ხანდახან მწერლებმაც და პოეტებმაც, როგორც გვჩვეოდა, თორემ დაიხრჩო ამ კარიერისტულ ბოღმებში საქართველო.

ხუმრობა იქით იყოს, ამ შემთხვევაში იქნებ კატეგორიულობა ჯობდეს. სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია ერთმანეთისათვის „ხალხის მტრის", „სამშობლოს მოღალატისა" და „სუკის აგენტის" ეტიკეტების მიწებება. ადამიანთა კვალიფიკაციაში ერთადერთი შეუმცდარი მხოლოდ ღმერთია. ჩვენ, მოკვდავნი, ცოდვილნი, შეიძლება შევცდეთ ამა თუ იმ პიროვნების შეფასებაში და ნებსით თუ უნებლიედ მომაკვდინებელი ცოდვა ჩავიდინოთ, დავარღვიოთ ღვთის მიერ დაწესებული ერთ-ერთი უმთავრესი მცნება: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა".

ცილისწამება გვაშორებს ღმერთს. წმინდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი კითხულობს: „უფალო! ვინ დაისადგურებს შენს კარავში? ვინ დაიდებს ბინას შენს წმინდა მთაზე? ვინც უმწიკვლოდ დადის, სიმართლის მოქმედია და ჭეშმარიტად ლაპარაკობს, რაც გულში აქვს, ვინც არა ჰზაკავს (ცილს არ დასწამებს) ენითა თვისითა, ცუდს არ გაუკეთებს მოყვასს და აუგს არ იტყვის ახლობელზე... ამის მოქმედი არასოდეს არ წაიქცევა. (ფსალ. 14,1-3,5).

სასურველი და სასარგებლო იქნება ჩვენივე სულის ცხონებისათვის, საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებისათვის, თუ უარს ვიტყვით, საერთოდ ამოვიღებთ, ჩვენი ყოველდღიური საუბრებიდან, პოლიტიკური დებატებიდან „ხალხის მტრის", „სამშობლოს მოღალატისა" და „სუკის აგენტის" სიტყვათხმარებას.

მაგრამ პოლიტიკას, ეტყობა, სხვა ვნებები განსაზღვრავს, ისე როგორც სხვაა მათი დამოკიდებულება დროსთან. სულ გარბიან, სულ მისწრებაზე არიან, სულ ეჩქარებათ, სულ ავსიტყვაობენ. ზოგჯერ იმდენად იჭრებიან როლში, გინდა დაუძახო — ეჰეჰეეეი! სად გარბიხართ, რას გარბიხართ, რატომ გარბიხართ?!

დრო გარბისო. სიკეთის მოსასწრები დრო გარბის, თორემ ისე არსადაც არ გარბის ეს დალოცვილი დრო. ისევ ძველებურად, ზუსტად ერთსა და იმავე დროს ჩადის და ამოდის მზე და მთვარე, უფალმა რომ დააწესა პირველად. არც ყვავილები გარბიან არსად, მშვიდად ამოდიან და მშვიდად კვდებიან. ზუსტად ისევე იჭორფლება ცა ვარსკვლავებით და წლევანდელი მარტიც ზუსტად ისეთივე აჭრილი და ამღვრეულია (ლალატიანია), როგორც ერთხელ დაუწესა მამაზეციერმა. ყველაფერი ენდობა და ემორჩილება შემოქმედს ჩვენი ცოდვიანი ბუნების გარდა. ამიტომ დროს დახარბებულებს, სულ გვგონია, რომ უკვე გვიანაა, გავიდა სიცოცხლე... არადა, რატომღაც ისე მგონია, არაფერი ისე არ აბერებს და არ თენთავს ადამიანს, როგორც დროის გამოდევნება, როგორც ეს სულსწრაფობის მარათონი...

ზუსტად იმ დროს ვბერდებით, მეგობრებო, როცა უნდა დავბერდეთ. ზუსტად იმდენ ტკივილსა და განსაცდელს გვიგზავნის უფალი, რამდენის ატანაც შეგვიძლია. არც არაფერი ისე არ ზრდის და ისე არ ამხელს, ისე არ ამაღლებს პიროვნების არსს, როგორც თავის დროზე დაუმსახურებლად გადატანილი ტკივილი. ეს რომ გვჯეროდეს და ღრმად გვქონდეს გაცნობიერებული, ალბათ, არც ჩვენი პრესა აჭრელდებოდა ღვარძლიანი წერილებითა და დაჩიავებული „დიდსულოვნებით", სამარცხვინო მემკვიდრეობად რომ ვუტოვებთ მომავალ თაობებს,

არაფერი ამ ქვეყანაზე ღვთის ნების გარეშე არ ხდება, მეგობრებო! ხომ ამბობს უფალი, ჩემი ნების გარეშე ბეღურაც არ დაეცემა მიწაზე, ჩემი ნების გარეშე თმის ღერიც არ გაუთეთრდებაო კაცს. ჰოდა, ამ ორასწლიანი მონობის მერე, ამდენი სისხლი და ცრემლი რომ უნთხევია ჩვენს ხალხს ენა-მამულისა და სარწმუნოებისათვის, რაღა ახლა დაუშვებდა უფალი შემთხვევითობას. არაფერი შემთხვევით არ ხდება ამ ქვეყანაზე, არც ჩვენი ეროვნული პარლამენტია შემთხვევით არჩეული. არც ზვიად გამსახურდიაა შემთხვევითი კაცი. მერაბ კოსტავას გმირობაც შემთხვევითობის ხარისხში გადაჰყავდათ წლების განმავლობაში, დუმილით დაწყებული, რით არ გვიმალავდნენ ამ გმირობას — ფანატიზმით, ბავშვურობით, პრიმიტიულობით. მისი ჩამოსვლის მერეც მოარული ფრაზა იყო თბილისში — ცარიელა გულია, ბავშვივით მიმნდობია და როგორც უნდათ, ისე იყენებენო. ინფანტილური და გამოსაყენებელი კი არა, ზუსტად ისეთი იყო, ბიბლიაში რომ წერია: „მტრედივით უბრალო", „სულით ჩვილი", „გონებით ბრძენი". ამორჩევაც ზუსტად ისეთი იცოდა მეგობრების, როგორი ერთგულებაც შეეძლო. ასე რომ „ლაზარეს აღდგინებაში" დაბეჭდილი მიძღვნითი ლექსები დიდი გულით, დიდი გონებით, დიდი შთაგონებით დაწერილი ლექსებია და კამერული მეგობრობის დასტურად მხოლოდ არ გამოდგება. გონიერების დასტური ის უცნაურად დიდი ინტელექტუალური მემკვიდრეობაა, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში რომ დაიბეჭდა. წაიკითხეთ მეგობრებო, ვისაც არ წაუკითხავს, ჩახედეთ ჟურნალებში — „მნათობი", „ძელი ჭეშმარიტებისა..." დაბეჭდილ კოსტავას წერილებს და მიხვდებით, როგორ ახათილებს მისი დიდი გონიერება, როგორ ამცრობს, ცეცხლწაკიდებული სპირტივით როგორ წვავს, როგორ აქრობს ნებისმიერ ჭორსა და ცილისწამებას.

განსაკუთრებით ქალებს უყვარდათო. რატომ მარტო ქალებს?! მე სვანეთში კვირიკობაზე მოვასწარი ამ სიყვარულის ნახვა. დიდიან-პატარიანად მთელი სვანეთი მის სიყვარულში იყო ჩაფლული. იდგა თვითონ ლაგურკის ფერდობზე, შავბლუზიანი, ლამაზქუდიანი. მარჯვენა ხელში თხის პატარა რქა ეჭირა. რქა რახით იყო გალიცლიცებული. ვიღაც ხაშურელი ბიჭი სადღეგრძელოს არ აცლიდა, უგრძეს საკუთარ პოემას უკითხავდა. იდგა მერაბი თეთრი გიორგივით. იმ გატანჯული, სასოწარკვეთილი წლების მერე იდგა გამარჯვებული გიორგივით და იკიდა უხვად დათესილ სიყვარულს. მე აქეთ, ვიდექი, გამოღმა ფერდობზე, ვერასოდეს ვაპატიებ თავს ჩემს ინტელიგენტურ გონებაში ამუშავებულ სასწორს, მისვლა რომ მინდოდა და მერიდებოდა (თუ ვწონიდი?), ფამილარობაში არ ჩამომართვასთქო. ვინც არ წონიდა, ის მიდიოდა, ის ეუბნებოდა ქათინაურს, ის უხსნიდა სიყვარულს, ის ეფერებოდა და მშურდა კიდეც და მადლიერიც ვიყავი ჩემი კუთხის ხალხის, ასე უხვად რომ დააჯილდოვა სიყვარულით ღვთისანაბარა დარჩენილი კაცის მძიმე ცხოვრება. დატირებაც ღირსეული ჰქონდა, ცრემლის ზღვა მიატივტივებდა მის ლამაზ ცხედარს. და... უცებ...

„ო, ეს გაუთხოვრად დარჩენილი ქალები, ო, ეს შინაბერა, დაუკმაყოფილებელი აქტივისტები",

რა უცნაური, რა სასტიკი შეუსაბამობაა ასეთ საქართველოსა და ისეთ საქართველოს შორის. ახლა მოდაშია საქართველოს ამ ტრაგედიაზე (საქართველოში ათი ათასობით გაუთხოვრად დარჩენილი ქალია) ასე ზერელედ, ანდა იოლად ლაპარაკი, როგორც მეშჩანებს სჩვევიათ. ქართველი ქალის ფენომენი საერთოდ უნიკალური მოვლენაა მსოფლიოში და არც ისაა შემთხვევითი, რომ მისგან მამაკაცისათვის პიროვნების მინიჭების სტატუსი ყოველთვის სამშობლოსათვის ჩადენილ „საგმირო საქმეებზე" გადიოდა. რუსთაველიდან მოკიდებული დღემდე ქართულ ლიტერატურაში ქალის თვალსაწიერი ამ მაგისტრალურ გზას ჯიუტად ადგას. ამის თვალსაჩინო ნიმუში დღევანდელ პროზასაც მოეპოვება ოთარ ჩხეიძის ბრწყინვალე რომანის „ბორიაყის" სახით.

იქნებ ამ კუთხითაც შეგვეხედა შინაბერა ქალებისათვის, რომელთა ერთ ნაწილსაც საყმაწვილო სენივით ვერ მოუხდია პირველი და გაუზიარებელი, ანდა გაზიარებული, მაგრამ ბედისწერით ვერშემდგარი სიყვარული. ხოლო წლებმა კი, როგორც იტყვიან, ვერაფერი დააკლო მათ „მაღალ სტილს", მათ ძველმოდურ მოთხოვნილებას, თუკი სიყვარულის უნარს ძველმოდური შეიძლება ეწოდოს. ხოლო უსიყვარულოდ გათხოვებისას ისეთ მაღალ და მარადიულ კრიტერიუმებს დაუწყო ჯიუტად ძებნა, როგორიცაა პატიოსნება, ერთგულება, გაბედულება, პიროვნებად ყოფნა. იქნებ ეს მწირი, ეს შეციებული თავისუფლება არჩია ოქროს ზოდებსა და ჯაჭვებში ყულფივით თავის გაყოფას, რომელთა წყალობითაც ათასობით ლამაზი ქალი შეირჩა საჯიშე ცხენივით და როგორც სტამბულის ბაზრებზე, ისე გაიყიდა ოჯახებიდან ოჯახებში..

იქნებ ამითაც აგვეხსნა უქმარშვილოდ დარჩენილი მათი ერთგვარად იგზალტირებული ლტოლვა საერთო ოჯახისაკენ. იქნებ ამიტომ გამოიდეს ასე თავი, რომ საქართველოს დაუმტკიცონ თავიანთი ერთგულება, საქართველოს მოუტეხონ და პურივით გაუყონ თავიანთი სითბოც და სიყვარულიც. ჰო, გეთანხმებით, იქნებ ხშირად დაუხვეწავად, კურიოზული ფორმებითაც ახორციელებენ ამას, მაგრამ იქნებ პიროვნების ძებნის სტატუსით ათი კაცის გამოცვლას და ქრონიკულ გაწბილებას მათი შეციებული და შეზღუდული გაუთხოვრობა სჯობდეს, ვინ იცის... იქნებ ამ კუთხითაც შეგვეხედა მათთვის. და საერთოდ, იქნებ ნებისმიერი მოვლენისათვის მრავალი კუთხიდან შეგვეხედა და მაშინ, ალბათ, გაიოლდებოდა უფრო ერთად ყოფნაც და ცხოვრებაც. აღარც უზნაძის გენიალური თეორია იქნებოდა ასეთი აქტუალური დღევანდელ საქართველოში. ხანდახან მგონია, რომ განწყობის თეორია მაინცდამაინც ქართველს უნდა აღმოეჩინა. რომ არა ეს საბედისწერო განწყობა, იქნება შეცდომებთან ერთად გაკეთებული საქმეც დაგვენახა. იქნება სხვათა განქიქებისა და ჭორების ცოხნის გარდა საკუთარ თავში ჩასახედადაც მოგვეცალა. იქნებ ოპოზიციასაც დაენახა სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯებიდან ნამცეცი მაინც, თორემ უკვე მოსაწყენია, მეგობრებო. ისიც გასათვალისწინებელია, დღევანდელი საქართველოს მომავალ ოპონენტებს სათქმელად რომ არ დარჩეთ: გარდამავალი პერიოდის ოპოზიციას იმისი ნებისყოფა და ვაჟკაცობა არ ეყო, თუნდაც ერთხელ მაინც დასცდენოდა — აი, ეს მომწონს, ამაში ვეთანხმები უზენაეს საბჭოსო...

არც ამ ინტელიგენტობასა და ინტელიგენციაზე ატყდებოდა მაშინ ასეთი თავგამოდებული სჯა-ბაასი უდროო დროს, როცა ირგვლივ ტყვიამფრქვევების კაკანია. მაგრამ მე არც ამჯერად დამეიწყებია ჩრდილების თეატრი. ეს თემაც განხეთქილების ვაშლივით შემოაგდეს ჯერ კიდევ კლასობრივი თეორიის ავტორებმა. პირადად მე მის საშიშ სინდრომს ამ ათიოდე წლის წინ გადავაწყდი, როცა ტელევიზიაში მრავალი მაგიდის გარშემო ყველა ფენისა და ყველა პროფესიის ადამიანები ვიყავით მიწვეულები ნარკომანიის დასაგმობად. მოხდა ისე, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლებს განაჩენი კი არ გამოგვქონდა, ამ სენის გამომწვევი პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, მორალური, ზნეობრივი და ა. შ. მიზეზების ანალიზს ვცდილობდით. და აი, სიტყვა ერთ დაღლილ ქალბატონს გადასცეს. ამ ქალბატონმა, ისე რომ ხმისთვის არ აუწევია, თვალები დახარა და თითქოს კალთაში ჩაწყობილ საკუთარ ხელის მტევნებს ესაუბრებაო, თქვა: — მე რომ ქარხნიდან დაქანცული მოვდივარ, ჩემი ხუთი წლის გოგონა — სადილს, შვიდი წლის ბიჭი კი სახლს მახვედრებს დალაგებულსო. ეს თქვენმა, ინტელიგენტების შვილებმა აღარ იციან, დროს და ფულს რა უყონ და ისინი იკეთებენ მორფსო...

აი, მეგობრებო, ჯერ კიდევ რომელ წლებში იყო ეს ბზარი კი არა, ეს უფსკრული გაჩენილი. ჯერ კიდევ როდის იყო დაწყებული ცნებებისა და კრიტერიუმების აღრევა, როცა ინტელიგენცია ფულიან და ზნედაცემულ კომბინატორებში იყო ათქვეფილი, რადგან, ერთი შეხედვით, ნორმალურად ჩაცმულ-დახურული გამოიყურებოდა. აი, ჯერ კიდევ როდიდან მიდიოდა მუშაობა ამ მართლაც მოუცლელი, გადაქანცული ადამიანების გონების დასაბანგად და მათ გულებში კლასობრივი სიძულვილის დასათესად...

ისეთი „დისიდენტური" ვნებათაღელვა ატყდა იმ გადაცემის ჩაწერისას, ეთერში რომ გავუშვათ, ალბათ, იშვიათად ექნებოდა ტელემაყურებელს მსგავსი სიმძაფრითა და სიმართლით დამუხტული გადაცემა ნანახი. მიკვირდა კიდეც, რომ არ წყვეტდნენ ჩაწერას. თუ არ ვცდები, ახალგაზრდა რეჟისორი ლია დავლიანიძე იწერდა მას და ისე იყო თვითონაც ჩართული, სულ აღარ ახსოვდა ფირის „გაფუჭებისათვის" თავზე ხელს რომ არ გადაუსვამდნენ.

ეს ერთი გადაცემა, რომლის უშუალო მოწმე და მონაწილეც მე ვიყავი. თორემ ისე, ვინ იცის, ალბათ, რამდენი ასეთი მამხილებელი გადაცემის მომსწრე ტელევიზიის ცივი, მოუწყობელი პავილიონები, რომელთაც ეთერში გასვლა არ ეწერათ. ასე რომ, მეგობრებო, ნურც ამ განხეთქილების ვაშლის ავტორობას დავაბრალებთ დღევანდელ უზენაეს საბჭოს. ნურც ინტელიგენტების მისაკუთრებას დავიჩემებთ მაინცდამაინც, ნამდვილი ინტელიგენცია ვერც ერთი პარტიისა და ვერც ერთი ორგანიზაციის საკუთრება ვერ იქნება, ისევე როგორც ნამდვილი შემოქმედება ვერ იქნება მხოლოდ იზმებში, ლიტერატურულ სკოლებსა და მიმდინარეობებში ჩაჭედილი.

ამიტომ ნურც ავტორიტეტების მისაკუთრებით და გადაბირებით შევეცდებით ვინმესათვის თვალის დაბრმავებას. ისევე როგორც აკაკი ბაქრაძის შესანიშნავი წიგნის გამოყენება სცადეს დემაგოგიურად, — თუ მწერლობა გაყიდული არ იყო, აბა, როგორ მოხდა აკაკი ბაქრაძემ წიგნი რომ დაწერა „მწერლობის მოთვინიერებაო". „მოთვინიერებაო" — ასე ბრძანა, მეგობრებო, და არა მოთვინიერებულიო. პროცესს გაუსვა აკაკი ბაქრაძემ ხაზი, იმ დამღუპველი პროცესების კვლევასა და ანალიზს შეალია ჯანი და ენერგია წლების განმავლობაში და უქმად მყოფი კაცებივით იოლად არ დაუსვამს მძიმე დიაგნოზები. რაც შეეხება მოუთვინიერებელ მწერლებს, მათ წიგნები დატოვეს, მოთხრობები, რომანები, პოემები და ლექსები დატოვეს და ვისაც მოთხრობითა და ლექსით გახარება შეუძლია, ის მკითხველი, რა პოლიტიკური ცვლილებებიცა და გადატრიალებებიც არ უნდა მოხდეს ქვეყანაში, მარად იარსებებს საქართველოში.

და საერთოდ, დავანებოთ მშობლობის პრეტენზიით ინტელიგენციის ცარცის წრეში ჩაყენებას, მის აქეთ-იქით გაქაჩვა-გამოქაჩვას თავი. ისე, როგორც ნებისმიერ ფენას, ისე, როგორც ყველაფერს ბუნებაში, ამ ცისქვეშეთში ინტელიგენციასაც თავისი ნაცემნაფერები წარმომადგენლები ჰყავს. ინტელიგენციის ნამდვილი მშობელი ქართველი ხალხია და არა რომელიმე პოლიტიკური ან ლიტერატურული ორგანიზაცია და პარტია. ამიტომ შეცდომებსა და კომპრომისებზე ისე არავის სტკივა გული და ინტელიგენციის გამარჯვებაც, მისი ვაჟკაცური საქმეებით თავის მოწონება ისე არავის უხარია, როგორც ქართველ ხალხს მთლიანად.

ინტელიგენტობის სტატუსის მინიჭება ასეთი ადვილი რომ იყოს, მაშინ ყველა ქალი, ფრანსუაზა საგანს, ანდა ჟორჟ ამადუს რომ კითხულობს, ინტელიგენტად ჩაითვლებოდა, ხოლო ვინც შვილების გაზრდისა და ქვრივ-ობლების გამუდმებული მოვლა-პატრონობისათვის თავიანთი დიპლომები გვერდზე გადასდეს, ვინც თავიანთ მოცუცქნულ ბინებში წლების განმავლობაში ნათესავ-ახლობლების სტუდენტთა თაობებს გაუნაწილეს ზრუნვა და სითბო და ამის გამო სარტრსა და კამიუს ვერ ჩაუღრმავდნენ, ისინი ბნელებად შემორჩებოდნენ ჩვენს მეხსიერებას. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ ხსოვნას ვერც გადააკეთებ და ვერც სტატუსს მიანიჭებ ასე ადვილად. ხსოვნა ხსოვნაა და რაგინდ არაბუნებრივ პირობებში არ უნდა ამყოფო ადამიანი, ყველაზე გვიან სწორედ მის ხსოვნას „დაიმორჩილებ".

ამ ხსოვნას ლიტერატურათმცოდნეობის ბევრი საგულისხმო წიგნი ახსოვს, მაგრამ მათი ავტორები თავიანთი ცხოვრების წესის გამო ინტელიგენტებად არასოდეს მიმიჩნევია. ინტელიგენტობა, გარდა ცოდნის მიღებისა, კაცად დარჩენასაც გულისხმობს მძიმე, ექსტრემალურ სიტუაციებში. ამიტომ, როცა ვახტანგ კოტეტიშვილის ინტელიგენტობაზე ჩამოვარდება ხოლმე საუბარი, მის ბრწყინვალე შრომებთან ერთად (ან იქნებ უფრო ადრეც) მე პატიმრების მონათხრობი მახსენდება, დაკითხვაზე ორივე მუხლი რომ გადაუმსხვრიეს ამ შესანიშნავ მეცნიერს. იწვა მერე ეს სახსრებდალეწილი ინტელიგენტი ბნელ სარდაფში და პოლიტპატიმრებს სუნთქვით ვარჯიშებს ასწავლიდა, რითაც გონწამღები ტკივილებისათვის უნდა გაეძლოთ და უნებლიეთ ვინმე უდანაშაულოს სახელი არ წამოსცდენოდათ.

ასე რომ, ეს ხერხიც ნაცადია, მეგობრებო, ეს „გათიშე და იბატონეც" სამყაროსავით ძველია და მზაკვრული... ჰოდა, დღესაც ასე გათიშულები მაღალი ძაბვის წრედში ვართ ჩართულები. მაღალი ძაბვის დენი უნდა გაუშვან, მეგობრებო, ამ წრედში! უფრო მაღალი, ვიდრე აქამდე იყო!

ხომ კითხულობთ, მეგობრებო, პრესას, ხომ უყურებთ ტელევიზორს, ხომ ადევნებთ შეძლებისდაგვარად შინ და გარეთ მომხდარ პროცესებს თვალს. ნუთუ ასე დაგვიბრმავა სიმპათია-ანტიპათიებმა თვალი, რომ ვერ ვხედავთ, რა გააფთრებულ ტემპებში ხდება ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა, რა ელვისსისწრაფით იზრდება წრედის რადიუსი. ნუთუ ვერ ვხედავთ ყოველი სუფთა გული, ყოველი სალი აზრი მის ეკლიან მავთულებს როგორ ეხლება, აწყდება და სისხლისგან იწრიტება.

ამ წრედს, ჩვენი ენერგეტიკოსებივით თავისი გრაფიკი არ გააჩნია, მეგობრებო! დღედაღამე ჩართულია, დღედაღამე ტრაექტორიის გაზრდაზე ფიქრობს. ჩვენც ვიფიქროთ რა, მეგობრებო! რატომ ვუწყობთ იმპერიულ ძალებს ხელს ჩვენივე ნებით არჩეული ეროვნული მთავრობის დარბევაში. რა დროს მის დახვეწილობა-დაუხვეწაობაზე ლაპარაკია, რა დროს ვიღაცის სიმსუქნე-სიმაღლეზე ლაპარაკია, რა დროს ფიზიონომიების გარჩევაა, მეგობრებო, როცა იმპერიის ტოტალური ტყუილის კატალიზატორში თვით დემოკრატიული პრესაც ჩაერთო. ეს კი იმას ნიშნავს, ჩვენთვის წირვის გამოყვანას აპირებენ, მსოფლიოს თვალში „იმპერიული საქართველოს" სტატუსს ადგენენ.

მოხდება, მეგობრებო, მოსახდენი, ერთმა კი არა, ათასმა ჯანსუღ ჩარკვიანმა რომ იყვიროს მერე, შემოვა მაინც შემოსასვლელი. შემოვა, მეგობრებო, და გადაწითლდება ისევ ჩვენი ფირუზისფერი ცა და ზურმუხტისფერი ხმელეთი. გადაწითლდება და ვინ იცის, კიდევ რამდენი წლით დამიწდება და დაკაბალდება ჩვენი აუხდენელი ოცნებები. ჰო, მესმის, მეგობრებო, რომ ახდენის მერე ოცნებას ყოველთვის ახლავს განაღდების თანმხლები პროზაულობა, მაგრამ ჯერ გავინაღდოთ, მეგობრებო, თორემ იმპერიის შემყურე და ჩვენი ბოღმიანობის შემყურე დაიღრჩო ჩვენი მომავალი!

კარგად ყოფნა უნდათ ჩვენს შვილებს, თავისუფლება უნდათ ჩვენს შვილებს... თორემ გამოცდილება ზრდასრულ ხალხს ვერ ასწავლის, როგორც ჩანს, ჭკუას და ამ ბავშვებს რა მოეთხოვებათ! ვერც თვითმფრინავში ჩახოცილი გოგო-ბიჭებით ვეღარ მოხერხდება თაობების დაშინება. ისევ გასაფრენად გაშლიან მკლავებს. თითო თითო რომ დაიხოცონ, ისევ გასაქცევად მოემზადებიან, მარტო ტანკებისაგან არა, მეგობრებო! მარტო იმპერიისაგან არა, მეგობრებო! ჩვენგანაც გარბიან ჩვენი შვილები, ჩვენს სულებში დაწყებული გამყინვარებისგანაც გარბიან თბილი ქვეყნებისაკენ გაფრენილი ჩიტებივით. ჯგუფებსა და წრეებში კი არა, ცალცალკე ოჯახებში სიძულვილით დახეთქილი ხმის იოგებისა ეშინიათ, მეგობრებო, სულიერმა და პოლიტიკურმა ყინვამ რომ დააზრო და დააჩიავა. არადა, ბუნება თავისას შვება, მეგობრებო! ისევ მოვიდა გაზაფხული! ისევ შემოღწევას ცდილობს ამ კარჩაკეტილ ქვეყანაში სიყვარული! ისევ გაშლილი აქვთ მკლავები ჩვენს შვილებს და ისევ ატკაცუნებენ აფრებივით. ისევ იმ გულუბრყვილო იმედებს აჰყვებიან, იქიდან, ევროპიდან ვუშველითო აქაუროებს.

გაიხსენეთ, მეგობრებო, მიტინგები, ჩვენი ულამაზესი ფერადოვანი ერთადყოფნა! იმ მიტინგებს იმიტომ ედო ფასი და ძალა, რომ სულხან-საბას ისრებივით ერთად ვიყავით შეკრულები. თორემ გათიშული და გაბითურებული საქართველოსთვის არც მანამდე მოუკლავს და ვერც დღეს მოიკლავს ევროპა და ამერიკა თავს. არც გაემტყუნებათ, კაცისა არ იყოს, ამ უმეროთო ქვეყანაზე სახელმწიფოებსაც თავიანთი გასაჭირი აქვთ, თავისი ცოდო-ბრალის თრევა უჭირთ. მისხალ-მისხალ ნაგროვები მეგობრები ადრეც ჰყოლია საქართველოს, მაგრამ ვერ უშველის ეს საქმეს!

ახლა სწორედ იმ ფაზაშია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომ ამ წამებს უნდა დაწაფება, დახმარება, მაქსიმალური გამოყენება. ცისარტყელისა არ იყოს, ეს ფაზაც იშვიათად ერთიანებს მსოფლიოს პროგრესულ ძალებს და კეთილი ნების გამოსახატავად იშვიათად აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებს ერთმანეთისაკენ ხელები გაწვდილი. ბევრი სისხლი დაკარგა ბალტიის ხალხმა, მაგრამ სწორედ ეს წამები გამოიყენა. იმდენი იშრომა და იმდენი იმუშავა, მსოფლიოს კეთილი ნების ძალებს პრესტიჟული თავმოყვარეობა გაუღიზიანა...

ჩვენ, ჩვენ რას ვშვებით, ჩვენ ვის ვაღიზიანებთ, ჩვენ რა გვაღიზიანებს; ჩვენ პრეფექტების პრესტიჟულობა-კომპეტენტურობას გადავყევით. ჩვენ, რას ჰქვია შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფილი სპორტსმენი დანიშნაო, ამაზე დავიწყეთ ქირქილი. თითქოს ის პოლიტიკა სჯობდა, როცა არენიდან გაუცილებლად წასულ სპორტსმენებსა და მოცეკვავეებს მადლიერების ნიშნად ხორცკომბინატებში და „ბენზინკოლონკებში" უკრავდნენ თავს — აჰა, შენ სამაგიეროდ აქეთ ფულები, ჩვენი სახელი რომ გაგქონდა უცხოეთშიო...

დღეს პირდაპირ ომში გაუშვეს დილარ ხაბულიანი და დარწმუნებული ვარ, ისეთ წესიერ ოჯახში გაზრდილი კაცი, როგორიც იგია, მადლიერიც უნდა იყოს თავისი ხვედრის. რადგან ყველაზე მძაფრად და ყველაზე ინტენსიურად სწორედ ჩემპიონებს მწარდებოდათ წარმატებები, როცა უცხოეთში გამარჯვების ნიშნად მათი მხრის უკან ნელ-ნელა მიცოცავდა და მაღლდებოდა ანძაზე ნამგალი და უროთი დაღაღული სისხლისფერი დროშა, როცა ვეებერთელა სტადიონებსა და ჰიპოდრომებზე ქართველის გამარჯვების ნიშნად მძლავრად გუგუნებდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მღვდელი და პრეფექტიო?.. აღმოვაჩინეთ კრიმინალი! ჩვენი აღშფოთება ალბათ, მაშინ უფრო უპრიანი იყო, როცა მღვდლებს ხვრიტავდნენ საქართველოში. მართლა თორნიკე ერისთავის პოტენციის კაცი რომ გამოჩნდეს დღეს საქართველოში, ასე მგონია, იმის ყოფნასაც ლიტერატურულ-ისტორიულ ბუტაფორიად ყოფნას ვამჯობინებთ, ვიდრე მოქმედ ძალად. რას ვიზამთ, ამ ურწმუნო ქვეყანაზე ალბათ ძნელია ვინმე დააჯერო, მღვდელი ღვთისგან ხელდასმული კაციაო. და თუ პროფესია დაღს ასვამს ადამიანს, — ამის წამდაუწუმ გამეორება გვიყვარს — კი ბატონო, მღვდლობასაც, როგორც პროფესიას, ისე შევხედოთ. პროფესიონალიზმის გამო ქირურგს თუ ზამთარ-ზაფხულ „სკალპელი" უჭირავს ხელში და მხატვარს კიდევ ფუნჯი და საღებავი, მღვდელს, სწორედ ამ პროფესიონალიზმის გამო, მოციქულთა მიერ დაწერილ წიგნებთან აქვს საქმე, ზამთარ-ზაფხულ წმინდანებისა და ღვთის სიტყვებს იმეორებს და ამ სიტყვებით თუ არ ააშენა, დანგრევით ნამდვილად ვერ დაანგრევს ვერაფერს...

სადღაც წამიკითხავს, ნებისმიერ კულტურულ ქვეყანაში ახლად არჩეულ მთავრობას ას დღეს აძლევენ გამოსაცდელადო. ჩვენ არჩევის დღიდანვე ოპონენტობა ვარჩიეთ. კულტურაზე ყოველთვის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უნეტარესისა და უწმინდესის ილია მეორის გენიალური სიტყვები მახსენდება ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში რომ წერდა: კულტურა ზოგს კაფე-რესტორნებისა და სკვერების კეთილმოწყობა ჰგონია მხოლოდ, კულტურა ერთი ადამიანის მიერ მეორის გახარების უნარიაო.

სად დაიკარგა, მეგობრებო, ეს უნარი. გახარებას თავი დავანებოთ, ამდენგზის ერთმანეთის დაწიხვლისა და შეურაცხყოფის მერე, რანაირად უნდა ვეთხოვოთ ევროპას, გინდა თუ არა მომეხმარეო. და ბოლოს, ეს ამერიკაც და ევროპაც, მიუხედავად ფანტასტიურად მოწყობილი კაფე-რესტორნებისა და სკვერებისა, იმდენადაა შედარებით კარგად, რამდენადაც კაი ცხოვრებისაგან თავის სამხედრო ბაზის არსენალში გამოჩეკილ რაკეტებს ხალისიანი მშობლივით ირონიულ-ელეგანტურ სახელებს არქმევს (ასე მაგალითად: ერაყში გამოყენებულ ინგლისურ რაკეტებს — „სტალინის ორგიები" ერქვა).

ევროპის კულტურული საზოგადოებრიობა ნობელის პრემიის ლაურეატების ათასკაციან ნუსხასაც კარგად იმახსოვრებს... და, საერთოდ, ასეა კაცის ამპარტავანი ბუნება. მოწყობილი — კარგსაც და ცუდსაც, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, იოლად იმახსოვრებს და დიდ ფასს ადებს, ვიდრე ღმერთის შემოქმედებას. თორემ თუ სადმე სამართალია, უცხოეთში ჩასული ქართველი საკუთარი წარმომავლობის დასტურად ჯორჯიას რომ დაასახელებს, კულტურულ ევროპას მაშინვე ამერიკის ჯორჯიას შტატი კი არ უნდა ახსენდებოდეს და გაკვირვებულ სახეს კი არ უნდა იღებდეს, სახეგაბადრულს ერთხელ მაინც უნდა დასცდეს — დიახ, გასაგებია, თქვენ ის ხალხი არა ხართ, ღმერთმა ამ უზარმაზარ ქვეყნიერებაზე მხოლოდ თოთხმეტი ანბანი რომ შექმნა და აქედან ერთი თქვენ, ქართველებს გაჩუქათო?!...

მაგრამ თავი დავანებოთ ევროპასა და იაპონიას. ეს უკანასკნელი ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებასაც კი სტოვებს, თითქოს ნოეს კიდობანში ჩასატევად ამზადებს ღმერთი, წარღვნის მერე დარჩენილ ადამიანებს სუვენირებად რომ ჩამოურიგოს კომპიუტერული გონების წყალობით გადანახული ინდიელთა ეთნოსი თუ გურული „ხასანბეგურა".

მეტამორფოზა (სავლედან პავლემდე)

1991 წლის 19 თებერვლის ნომერში „ნეზავისიმაია გაზეტა" იუწყებოდა, ედუარდ შევარდნაძემ დუმილი დაარღვია და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვის საბჭოს ოფიციალურად იწვევს მის მიერ შექმნილი შინაგანი პოლიტიკური პრობლემებისა და ახალი აზროვნების ასოციაციაში მონაწილეობის მისაღებადო.

სტანკევიჩის მიერ მიწოდებულ ამ ინფორმაციას რსფსრ პრეზიდიუმი და დემოკრატია კეთილგანწყობით შეხვდა...

გადადგომის პირველი ნაბიჯის შემდეგ (ასე სწრაფად რომ მოინათლა დიქტატურის მხილების მცდელობად) ეს მეორე სერიოზული ნაბიჯია და რამდენადაც პრესას თვალს ვადევნებ, მისი ანალიზი ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა. არადა, რა მომხიბლავი და შთამბეჭდავია, როდესაც ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, დღეს, ყოველგვარი ამბიციურობის გარეშე, თვითონ დგამს გუშინ ნაგინები ელცინისა და ერთი მუჭა დემოკრატიისაკენ ნაბიჯს. მაგრამ საქმე ისაა, რომ არც თუ ისე მცირე ძალებია გაერთიანებული ამ ერთი მუჭა დემოკრატიაში დღეს.

პირადად მე არ მჯერა პროგრესისა და პროგრესულობის სახელით ასე სწრაფად გადადგმული ნაბიჯებისა. იქნებ იმიტომ, რომ ბუნებით მაინც ორთოდოქსულ ქრისტიანობისკენ ვარ მიდრეკილი და ვიცი, თვით ჩვენისთანა უბრალო მოკვდავთათვისაც კი რა ძნელია ცდუნებებისაგან თავის შეკავება. მით უფრო რა ძნელი უნდა იყოს ეს პროცესი ამხელა პოტენციის პოლიტიკური ფიგურისათვის. თანაც, როცა საუბარია საბჭოთა კავშირზე, სადაც პოლიტიკური კარიერის გაკეთება დაუთვლელი რაოდენობის ცოდვებზე გადავლას მოითხოვს. და თუ მართლა ახალგაზრდა ებრაელი სავლე არა ხარ, დიდი ინტელექტუალი და იუდეველი, საუნივერსიტეტო ქალაქ ტარსიდან (რომელ ქალაქსაც ფილოსოფიის სიყვარულის გამო ასე აფასებდა სტრაბონი) მეტამორფოზა ძნელი გასაგებია.

როგორც კი იუდეველთა ახალი სექტა გამოჩნდა, თავის თავს ქრისტიანულს რომ უწოდებდა, იმ დღიდან რომის მოქალაქის პრივილეგიურობით დაჯილდოვებული, სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე, ელინური კულტურის შესანიშნავი მცოდნე და იუდაიზმის ფანატიკური მიმდევარი სავლე ახალი სექტის დაუძინებელი მტერი გახდა, „უფლის მოწაფეებზე მუქარით და მკვლელობით სუნთქავდა". (საქმ. 9,1). და როცა დამასკოში იმიტომ გაემგზავრა, რომ ქრისტეს მიმდევრები დაეჭირა და სასამართლოსათვის თავისი ხელით გადაეცა, სწორედ ამ მგზავრობისას, ქალაქს რომ მიუახლოვდა, უეცრად მოეფინა მას სინათლე, საშინლად განათებული ზეციდან მოისმა ხმა:

— სავლე, სავლე! რატომ მდევნი მე.

და მუხლებზე დაცემულმა სავლემ იკითხა:

— ვინ ხარ შენ, უფალო?!

და უპასუხა ქრისტემ:

— მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი...

ამის შემდეგ, სახელგამოცვლილი სავლე, თავისი გზით რომ ატარებს იესო, ყველაზე მხურვალე მქადაგებელი და მოძღვარი გახდება ქრისტიანული სარწმუნოებისა მთელს სამყაროში...

და მაინც ხომ ხდება ეს მეტამორფოზა? რაღა თქმა უნდა, ხდება. მაგრამ მხოლოდ ორი გზით. პირველი, ზეციური გამოცხადებით და მეორე, როცა ტანჯვით, თვითგანკითხვით, მარხვით, საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობით, ძე შეცდომილის (უძღები შვილის) ცხოვრების უმძიმესი გზით, მარტვილობით, გამუდმებული ლოცვებითა და საკუთარი ცოდვების შედეგად გაჩენილი შიშის ვეება გვირაბებიდან გამოღწეული სიკეთისა და ჭეშმარიტების სამსახურის უფლებას მოიპოვებ. დიდი ანგარიშით განკითხვის უფლება მხოლოდ ღმერთსა და წმინდანებს აქვთ. ზემოთნათქვამი კი ეს ისე, შეხსენებისათვის, რომ ქართველობასთან და მსოფლიო აზრთან თუ თვალთან ერთად, ამ ცოდვილ მიწაზე ყველას და ყველაფერს უფლის თვალიც უყურებს.

და მაინც ერთ უბრალო, მარტივ შეკითხვას დავსვამ: რატომაა, რომ თუ საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში, იმის შიშით, მიკერძოება არ დამწამონო, საქართველოზე ხმა ვერ ამოიღო ბატონმა ედუარდმა, ახლა, როცა მისი გადადგომიდან ამდენი თვეა უკვე გასული, ახლა, როცა საინფორმაციო ბლოკადის პერიოდში ცისფერ ეკრანთან მიჯაჭვულ საქართველოს ცილისწამებებით ყოველღამე გული უსკდება, ერთ დროს როგორც თაფლს ფუტკრები, ისე რომ ეხვეოდნენ (და დღესაც ეხვევიან) ჟურნალისტები, იმ ფუტკრებიდან ერთი კრაზანა მაინც ვერ დაიმარტოხელა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ერთი სიტყვა მაინც ვერ გაატანა ამ ერთიბეწო საქართველოს შესაწევად უცხოეთში. ყველა ყველა და, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხომ ყველაზე უკეთესად იცის, რა იმპერიალისტებიც ჩვენ ვართ, ქართველები, იცის, როგორ ვტყუივართ ეს „დიდი" ქართველები „პატარა" ოსებთან...

იქნებ, პირველ რიგში, სწორედ ამაზე უნდა ამოეღო ხმა ე. წ. ჯანსაღ ოპოზიციას, თუკი მართლა აწუხებს ვინმეს დღეს საქართველოს ბედი. ან იქნებ, როგორც არა ერთსა და ორ პოლიტიკურ მოღვაწეს, ყოფილ მინისტრსაც საკუთარი ხალხის სიყვარულში კოსმოპოლიტიზმმა შეუშალა ხელი? მაშინ დიდი ბოდიში და ამ „გონებადაბნელებულ ქართველ ხალხს" დაანებონ ეს „შოვინისტური" ეროვნული პარლამენტი, რომლის მეთაურიც უკვე ჟურნალისტთა შეკითხვაზე პატრიოტი ხართ თუ არაო, ამ ნაცემ-ნაგვემ სიტყვას კონტრაბანდასავით მალავს და ეგ ჩემი მოღვაწეობის ემოციური მხარეაო— პასუხობს.

ფრთხილად, მეგობრებო! ფრთხილად, ერთად ყოფნას გადაჩვეულო ქართველებო! ფრთხილად, თორემ ხმები დადის გულაგისა და „ლაგერების" რესტავრირება მიმდინარეობსო... არაო, პასუხობენ უცხოელ ჟურნალისტებს. აღდგენით სამუშაოებს ვატარებთ, ღია ცის ქვეშ მუზეუმებად გვინდა მათი დატოვებაო. ზოგჯერ სხვანაირადაც პასუხობენ — უბრალოდ სახსრებს ვზოგავთ, გადაკეთებას ვაპირებთ ჩვენი ჯარისკაცების საცხოვრებელ სახლებადო. რაღაც ძალიან საეჭვოა ამ მიუსაფარ შორეულ ადგილებში საცხოვრებლად რომ გაიმეტოს იმპერიამ თავისი ერთგული და ყოვლისშემძლე არმია. ფრთხილად, მეგობრებო! ფრთხილად, ერთად ყოფნას გადაჩვეულო ქართველებო, მართლა დოჩანაშვილის ვატერ(პო)ლოო არ იყოს. მართლა აღდგენითი სამუშაოები არ იყოს!

ფრთხილად, ქართველებო, ნუ გავწირავთ ღმერთს, რადგან სადაც ღმერთია, იქ ერთადყოფნა და გამარჯვებაა. ერთად, თორემ იოლია უსიყვარულოდ დაბნეული და დახლეჩილი ხალხის დარბევა და განადგურება. ფრთხილად, თორემ ისევ ისე ამოდის და ჩადის მზე და მთვარე, როგორც ერთხელ დააწესა გამჩენმა. ფრთხილად, თორემ ამ ეკოლოგიური კატასტროფების ეპოქაშიც კი ისე კვდება ბუნება, რომ თავის დამბადებელს არ ღალატობს, ისევ შეუცვლელად, ისევ უანგაროდ ემსახურება მამაზეციერს. ისევ გაზაფხულია და ისევ ჩადგა ხეში სიყვარული.

არც ჩვენა ვართ ღალატისათვის გაჩენილები, მეგობრებო!! ჩვენც სიყვარულისთვის და ერთადყოფნისთვის გაჩენილი ხალხი ვართ და ვიყოთ ამიტომ ერთად, მეგობრებო. კი ბატონო, დავიტოვოთ ჩვენი ადამიანური უფლებები სიმპათია-ანტიპათიისა, მაგრამ ღმერთის საქმეში ერთად უნდა ვიყოთ, მეგობრებო! თორემ ისევ ისე სევდიანად და მწუხარედ მეორდება ისტორია. ისევ ძველებურად ყივის დღისა და ღამის გასაყართან მამალი.

ყოფნით როგორ არ ყოფილა, მაგრამ ასე მგონია, ქრისტემდე არ უყივლია ამ ძველთაძველ ფრინველს, ისე, თავისთვის დაგიმებოდა რომაელებსა და ეგვიპტელებში გარეული. იმ ღამითაც მათთან ერთად იუდეველების ეზო-კარმიდამოებში დაბორიალობდა. და დაადგა უფალმა ამ გაჯგიმულ, დარდიმანდ ფრინველს თვალი. დააცხრო ამ მარადიულ მიჯნურის ყვალი, ცეცხლისფერი დეზები. და უბრძანა, როგორც კი იძალებს ალიონი და დილის წიაღში გაქრობას დაიწყებს ღამე, რაც ძალი და ღონე გაქვს, უნდა იყივლოო.

და ყივის იმ დილიდან ცისკენ თავაღერილი მამალი. ისე სასოწარკვეთილი ყივის, თითქოს ყელში ჩაჭედილი (ჩაყინული), იმ ოცდაათი ვერცხლის ამოყრას ცდილობს. თუ ასე არაა, მაშინ რატომაა, რომ არაფერს ისეთი დიდი სევდა არ მოაქვს, როგორც ალიონში ჩასახულ, სისხლივით გაფურთლილ მარადიულ ყივილს. არავინ და არაფერი ისეთი თავგანწირვით არ ამოკლებს საუკუნეებით დაცილებულ სივრცესა და დროს ჩვენამდე, როგორც საიდუმლო სერობის ეს უპირველესი მოწმე. არავის და არაფერს ისე ნაღვლიანად არ მოჰყავს ჩვენამდე ნაღალატევი ქრისტეს მწუხარება, როგორც ამ ათასწლეულების ალიონებში გამოტანჯული ბიბლიური ფრინველის ყივილი.

დიდი მარხვაა საქრისტიანოში, მეგობრებო! ნამდვილი მრევლი მარხვას სიტყვებითაც ინახავს, რაც შეიძლება ცოტას ლაპარაკობს. იქნებ ამიტომაც გავაკეთე ეს წერილობითი **არჩევანი**, რომ როგორმე არ ავყოლოდი ინერციას, როგორმე თავი დამეცვა ცუდსიტყვაობისა და ავსიტყვაობისაგან, განკითხვისა და ცუდადყოფნისაგან. და თუ იმ მამლის ყივილს ისევ უნდა მოჰყვეს მარად ახალი და მარად ძველი მწუხარება, მე მინდა ცრემლის უფლება მაინც დამიტოვოს მამაზეციერმა. წამით, სულ ერთი წამით ისევ დამადოს კეფაზე (როგორც ბავშვობაში) თავისი თბილი ხელი და განკითხვის დღეს მეჩხერ, მწირ ძეძვნარში გახ რულს, სხვა ცოდვებთან ერთად ეს დიდი ცოდვაც არ მომკითხოს:

— შენ ხომ ისა ხარ, ერთი სი ყვაც რომ არ შეაწიე ერთადყ ფნას, შენ ხომ განზე გადექი ხელი გადიბანე...

მაკა ჯოხაძ

1991 წ. მარტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 62-63, 1991 წ.

ავტ. შენიშვნა: წერილის პირველი ნაწილის (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა, 31 მარტი) მეოთხე სვეტის II-III აბზაცებში პროსპერ მერიმეს ნაცვლად უნდა ეწეროს მოპასანი.

საკუთარ სახლში

დაარსდა „საქართველოს სამეფო ფონდი"

რამდენიმე დღის წინ, დედაქალაქის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში ჩატარდა „საქართველოს სამეფო ფონდის" დამფუძნებელი კრება.

„საქართველოს სამეფო ფონდი" მიზნად ისახავს საქართველოში მონარქიული წესწყობილების აღორძინებისათვის მატერიალური ბაზის შექმნას, საქართველოს ეკონომიკისათვის სასარგებლო და პერსპექტიული წარმოების განვითარებას, საქველმოქმედო საქმიანობის ორგანიზაციას, სამეფო ბანკის დაარსებას, საერთაშორისო მონარქისტულ მოძრაობებთან ურთიერთობას, მონარქისტული იდეის პროპაგანდის ორგანიზაციას, მონარქიზმის თეორიაში ფუნდამენტალური საკვლევო სამუშაოების ჩატარებას და სხვა.

კრებას ესწრებოდნენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისე კერძო პირები. განიხილეს „საქართველოს სამეფო ფონდის" წესდების პროექტი. კრებამ აირჩია ფონდის გამგეობა და თავმჯდომარე.

ახალი კონტაქტები

საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე, დმანისის რაიონში, ერთმანეთს შეხვდნენ ამ რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატათა დელეგაციები. მათ შორის წინასწარი მოლაპარაკებები დაგვირგვინდა სომხეთის რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატათა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დადებით. ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ მხარეები ერთმანეთთან ურთიერთობებს დაამყარებენ, როგორც ცენტრისაგან დამოუკიდებელი და თანასწორი პარტნიორები, ერთობლივი საწარმოების შექმნის, ჩვენი რესპუბლიკების ცალკეულ საწარმოთა, ფირმათა და ბიზნესმენთა შორის კონტაქტების დამყარების, ინფორმაციათა გაცვლის, კადრების მომზადების და სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობების სხვა ფორმათა განვითარების საქმეში. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატათა თავმჯდომარეებმა აშოტ სარქისიანმა და გურამ ახვლედიანმა.

გაუქმდა პურპროდუქტების სამინისტრო

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად რეორგანიზებულია საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტრო.

ყველა დაინტერესებული საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ყოველგვარი პრეტენზიები საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროს სალიკვიდაციო კომისიაში მიიღება 1991 წლის 8 მაისამდე მისამართით: 380014, თბილისი, დიდი ხეივნის 6. ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ შემდეგ ტელეფონებზე: 99-03-0 93-45-18; 72-41-12;

საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროს სალიკვიდაციო კომის

31 მარტი

საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი
1991 წლის 31 მარტი
საარეფერენდუმო ბიულეტენი
УЧАСТОК

სურათებზე: არჩევნები მიმდინარეობს ვაკის რაიონის მე-9 ოლქის პირველ უბანსა და მე-10 ოლქის მე-11 უბანში, ხალხმრავლობაა კრწანისის რაიონის 57-ე ოლქის პირველ საარჩევნო უბანში, მოქალაქეები გამოხატავენ თავიანთ ნებას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

101 წლის ლიტველი

რეპორტაჟი საარჩევნო უბნებიდან

31 მარტი...

მოუთმენლად ელოდა ამ დღეს საქართველო, თავისუფლებისმოყვარე და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ყველა ადამიანი.

ალბათ, ამიტომ იყო, დილიდანვე რომ მიაშურეს მოქალაქეებმა საარჩევნო უბნებს და კეთილსინდისიერად მოიხადეს მამულიშვილური ვალი.

ამ დღეს, დილის 7 საათისათვის გაიღო თბილისის ყველა საარჩევნო უბნის კარი. ერთი საათის შემდეგ კი, კომისიის წევრთა მაგიდებთან, იქ, სადაც რეგისტრაციას გადიან და სარეფერენდუმო ბიულეტენებს იღებენ, უსაშველოდ გრძელი რიგები გაიჭიმა. მოქალაქეებს სურდათ დაუყოვნებლივ გამოეხატათ თავიანთი პოზიცია რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნებსა და რეფერენდუმში, ხმა მიეცათ მათთვის სასურველი კანდიდატისთვის და, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ამის ასე თამამად თქმის უფლებას, ჩვენი კორესპონდენტების მიერ საარჩევნო უბნებიდან გაკეთებული რეპორტაჟები გვაძლევს. კომისიის წევრები ყველგან ერთხმად აღნიშნავენ, ხმის მისაცემად მოსულთა აბსოლუტური უმრავლესობა თავისუფლების მომხრეაო...

დილის 7 საათზე, როცა თბილისის საბურთალოს რაიონის 21-ე საარჩევნო ოლქის 23-ე უბნის კომისიის წარმომადგენლები დანიშნულების ადგილას მივიდნენ, საარჩევნო უბნის კარებთან პირველი მოქალაქე უკვე ელოდათ: იგი აღმოჩნდა... 101 წლის ლიტველი კაცი.

— ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, — ამბობს კომისიის თავმჯდომარე თინა ნადირაძე, — ეს მხცოვანი ადამიანი ჩქარობდა, სხვაზე ადრე მინდაო გამოვხატო ჩემი ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება. ასეც მოხდა: სწორედ იგი იყო ამ უბანზე პირველი, ვინც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა ხმა...

21-ე საარჩევნო ოლქის 23-ე უბანზე საღამოხანს მივედით. რვა საათი უკვე სრულდებოდა და კომისიის თავმჯდომარე წყვეტდა საკრებულოთა არჩევნების მიმდინარეობას.

— ამ დროისათვის, უბნის 2855 კაციდან ხმა მისცა 2600-ზე მეტმა, — გვითხრა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა თამრიკო ხელაშვილმა, — ახლა შედარებით სიმშვიდეა, დილიდან კი ისეთი რიგი იდგა, ბიულეტენების დარიგებას ვერ ვაუდიოდით. ხალხმა წინასწარ იცოდა, რა ექნა და რისთვის და ვისთვის მიეცა ხმა, ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება ან გაუგებრობა არ ყოფილა...

კომისიის წევრებთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ ქართველი ეროვნების მოქალაქეთა მხარდამხარ, აქტიურობდნენ სხვა ეროვნების ადამიანებიც. ის კი არა, ზოგს სწყინდა კიდეც, რუსულ ენაზე შედგენილ ბიულეტენებს თუ მივაწვდიდითო, გვითხრა. ქალბატონმა თინამ, ქართულად ვწერთ და ვკითხულობთ და საქართველოსაც ქართულად დავუჭერთ მხარსო, ასე გვპასუხობდნენ.

კომისიის თავმჯდომარის წინასწარი ვარაუდით, რეფერენდუმსა და საკრებულოთა არჩევნებში მონაწილეთა დაახლოებით 99 პროცენტმა ხმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა.

— ასეთი ერთსულოვნება კარგა ხანია არ გვინახავს, — ამბობს კომისიის წევრი მარინა ყაზარაშვილი, — დარწმუნებული ვარ, ჩვენს უბანში მხოლოდ „დიახ"-ს დავითვლით.

არჩევნების შედეგები საღამოს ათ საათზე შეჯამდება. კომისიის 11-ვე წევრი გულდაგულ დაითვლის ცალკე საკრებულოთა არჩევნების ბიულეტენებში შეტანილ აღნიშვნებს, ცალკე რეფერენდუმში შემოხაზულ პასუხს. მანამდე, ჯერ კიდევ ორი საათია დარჩენილი, თუმცა აქედანვე კარგად ჩანს: პასუხი კითხვაზე უკვე გაცემულია — ადამიანებს თავისუფლება სურთ.

სოსო ბალაშვილი

რეალური ნაბიჯი თავისუფლებისაკენ

დილიდანვე ერთსულოვნება და საზეიმო განწყობილება იყო დიდუბის რაიონის 31-ე ოლქის № 22 უბანში. საკრებულოთა არჩევნებში აქ ოცდაერთი კანდიდატი იყო დასახელებული.

— საარჩევნო კამპანია რვის თხუთმეტ წუთზე დაიწყო. დილიდანვე უამრავი მოქალაქე მოვიდა უბანზე ხმის მისაცემად, — გვითხრა კომისიის თავმჯდომარემ იზოლდა პეიშვილმა, — კომისიაში ათი წევრია, რომლებიც შრომითი კოლექტივებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოვიდნენ.

— სულ ორი კვირაა, რაც ჩვენი ჯგუფი შეიქმნა, მაგრამ ყველა საქმე უმოკლეს დროში მოვაგვარეთ. მოსახლეობის სიების დასაზუსტებლად და ბარათების დარიგებაზე ღამის საათებშიც კი ვმუშაობდით.

აღფრთოვანებით უნდა აღვნიშნო, რომ ხალხი არნახულად მობილიზებულია, დიდ ინტერესს იჩენს არჩევნებისა და განსაკუთრებით რეფერენდუმისადმი.

ერთსულოვნებაა არაქართველ მოსახლეობაშიც. ყველა ცდილობს, რომ არც ერთი ხმა არ დაიკარგოს. ავადმყოფებისათვის წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით ჩვენი კომისია კარდაკარ დადის და ცდილობს არავინ დარჩეს საარჩევნო ხმის გარეშე. მოხუცებულებიც კი, სიარული რომ უჭირთ, ძალზე აქტიურობენ. დღეს ერთი ინვალიდი მოვიდა და, მანქანიდან ვერ გადმოდისო, გვითხრეს. მეთვალყურის თანდასწრებით მას იქვე მოვაწერინეთ ხელი, ეს კაცი რუსი აღმოჩნდა.

დღის ორი საათისათვის ხმა მისცა დაახლოებით 1662 კაცმა, თითქმის 70 პროცენტმა. მოქალაქეთა ნაკადი სულ უფრო მატულობს.

მეთვალყურე ბეჟან გაბუნიამ თავისი აზრი რამდენიმე სიტყვით გამოხატა: № 22 საარჩევნო უბანში საარჩევნო კამპანია ნამდვილად დემოკრატიულად მიმდინარეობს. მოქალაქეებს ჩვენი დახმარება არც სჭირდებათ, თვითონაც კარგად იციან, როგორ უნდა მისცენ ხმა. ყველა მათგანი უყოყმანოდ უჭერს მხარს საქართველოს თავისუფლებას.

აქვე შევხვდით მწერალ ოთარ დემეტრაშვილს, რომელიც ქალიშვილთან ერთად მოვიდა ხმის მისაცემად.

— ამ ხნის მოვიყარე და ასეთი ამაღლებული გრძნობა არასდროს მქონია. ჩემთვის, პირველი მღელვარე დღე შარშან, ოქტომბერში იყო, როცა ხალხის მიერ არჩეულმა ეროვნულმა პარლამენტმა გაიმარჯვა. დღევანდელი დღე კი, რაღაც განსაკუთრებულია. აღელვებული და გაბრუებული ვარ. იმას, რასაც უკვე მივაღწიეთ, ადრე ვერცერთი ჩვენგანი წარმოიდგენდა. ეს აღარ არის ლამაზი სიტყვა და ოცნება. ეს არის პრაქტიკული და რეალური ნაბიჯი იმ სანუკვარი ოცნებისა, რასაც თავისუფლება ჰქვია.

წარმატებები, რომლებშიც ეჭვი აღარ მეპარება, მიქმნის იმ განცდასა და შთაბეჭდილებას, რომ შორს აღარ არის სანუკვარი თავისუფლების დღე, რომლის დარდი თან ჩაიტანეს ჩვენმა უიღბლო წინაპრებმა.

იზა ჯაჯაძე

ერთსულოვნება იგრძნობოდა თბილისის სხვა საარჩევნო უბნებში.

ვაკის რაიონის მე-9 ოლქის პირველ და მე-10 ოლქის მე-11 უბნებზე, ადამიანებმა უყოყმანოდ გამოთქვეს თავიანთი აზრი. მთელი დღის მანძილზე მოდიოდნენ ხმის მისაცემად მოქალაქეები. კომისიის წევრთა მაგიდებთან და ურნებთან რიგი იდგა. რეფერენდუმსა და საკრებულოთა არჩევნებში მონაწილენი — ქართველები, რუსები, სომხები, ქურთები და სხვა ეროვნების ადამიანები — მოითხოვდნენ მხოლოდ ქართულ ენაზე შედგენილ ბიულეტენებს.

ჩვენ ვამბობთ „დიახ", ჩვენ გვინდა თავისუფლება, ჩვენ გვინდა ეროვნული პარლამენტის გვერდით დგომა, — გვეუბნებოდა ყოველი მათგანი და სწორედ ამ ერთსულოვნების გამო არ გამოგვირჩევია რომელიმე მათგანი კონკრეტულად. დიახ, — ეს ყველას აზრია, ეს ხალხის აზრია.

ინტერვიუ

„საპრეზიდენტო" თუ სავაჭრო გადასახადი?

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრთან გურამ აბსანძესთან

ალბათ, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა შეამჩნევდა, რომ სავაჭრო დაწესებულებებში საქონლის შეძენისას საპრეისკურანტო ფასების გადამეტებით ახდევინებენ ამ საქონლის ღირებულების 5 პროცენტს. ზოგმა მას „საპრეზიდენტო გადასახადი" შეარქვა. ამ გადასახადის შესახებ რამდენიმე კითხვით მივმართეთ რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს ბატონ გურამ აბსანძეს.

— ბატონო გურამ, რას წარმოადგენს ეს გადასახადი და ვინ შემოიღო იგი?

— უწინარეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ ეს არის სავაჭრო გადასახადი. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გავრცელებული აზრი, თითქოს ეს თანხა სსრ კავშირის პრეზიდენტის განკარგულებაში მიდიოდეს, სწორი არ არის. ალბათ, ეს ხმა იმიტომ დაირხა, რომ გადასახადი დაწესდა პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს ამ გადასახადის დებულება, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა და განსხვავდება საკავშირო დებულებისაგან.

რაც შეეხება თვით გადასახადის არსს, მას გადაიხდიან საწარმოები და ორგანიზაციები მათ მიერ რეალიზებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების მოცულობის 5 პროცენტის ოდენობით. რა თქმა უნდა, პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაცია მოსახლეობაში ამ ხუთპროცენტიანი დანარიცხით ხდება. ეს კი ნიშნავს, რომ ფასები გაიზარდა 5 პროცენტით.

— თქვენ ბრძანეთ, სავაჭრო გადასახდელი სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაწესდა. შეეძლო თუ არა ჩვენს რესპუბლიკას არ გაევრცელებინა ეს გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე?

— სამწუხაროდ, არ შეეძლო. საქმე ის არის, რომ პროდუქცია, აგრეთვე ნედლეული და მასალა, რომელსაც რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ვიღებთ, ამ ხუთპროცენტიანი გადასახადით არის გაძვირებული. ეს გადასახადი რომ არ შემოგვეღო, ამ პროდუქციისა და ნედლეულის მიმღები ჩვენი საწარმოები იზარალებდნენ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტიც. ეს გადასახადი კი ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხება და მის კეთილდღეობას მოხმარდება.

— ბატონო გურამ, ყოველგვარ პროდუქციაზე დაირიცხება თუ არა სავაჭრო გადასახადი?

— არის ცალკეული შეღავათები. მაგალითად, სავაჭრო გადასახადით არ დაიბეგრება სამკურნალწამლო საშუალებებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების ნაწარმის რეალიზაცია მოსახლეობაში, ინვალიდთა და მოხუცებულთათვის სპეციალური დანიშნულების საქონლის რეალიზაცია. სავაჭრო გადასახადი არ ეხება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურებას. ასევე არ იბეგრება ბავშვების, ავადმყოფებისა და ღრმად მოხუცებულთა მოვლასთან დაკავშირებული მომსახურება. ამ გადასახადით არ დაიბეგრება თეატრალური, სანახაობითი, სპორტული, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კინოთეატრების ბილეთების ფასები. გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში სავაჭრო გადასახადი არ გადახდება მოსახლეობას პურ-ფუნთუშეულის ნაწარმზე, ბავშვთა სპეციალური კვების პროდუქტებზე.

საქინფორმი

საზღვარგარეთ

ამერიკული პრესა სამაჩაბლოს შესახებ

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" დაიბეჭდა ფრენსის კლაინის სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ ოსები ამბობენ, ჩვენთვის პრობლემა არ არის ნებისმიერი იარაღის შესყიდვა საბჭოთა ჯარისკაცებისაგან, რომლებიც პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გამოგზავნა ცხინვალის რაიონში.

სამხრეთ ოსეთში არიან ექსტრემისტები, არიან ბანდიტები, ალკოჰოლისტები, რომლებიც რაკეტებს უშენენ მილიციის მთავარ სადგომს, — განაცხადა ქართული მილიციის ერთმა მეთაურმა ჯემალ ინჯიამ. ეს მიწა ქართულია, ხოლო ოსებს სწადიათ წაგვართვან და რუსეთს შეუერთონ. თქვენ რას გააკეთებდით ასეთ შემთხვევაში? — შეეკითხა იგი „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტს კლაინს.

ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა გამწვავდა იმ დროს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა ემზადებოდა დამოუკიდებელი რეფერენდუმის ჩასატარებლად, რომელიც 31 მარტს გაიმართა და, როგორც მოელოდნენ, გასაოცარი სახალხო ერთსულოვნებითა და წარმატებით დაგვირგვინდა.

საქართველოს რეფერენდუმს მხარი არ დაუჭირეს ოსებმა, რომლებმაც გორბაჩოვის რეფერენდუმში მიიღეს მონაწილეობა საბჭოთა იმპერიის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ამტკიცებს, ოსების კამპანია და ნაწილობრივ აფხაზებისაც კრემლის ინტრიგების წყალობაა.

მიუხედავად ერთმანეთს შორის სასტიკი დაპირისპირებისა, ამბობს კორესპონდენტი კლაინი, ქართველები და ოსები საბჭოთა კავშირის სხვა ერებს შორის ყველაზე უფრო სტუმართმოყვარენი არიან. როდესაც უცხოს დაინახავენ, ჩაჰკიდებენ ხელს და მიჰყავთ სახლში, რომ გულუხვად გაუმასპინძლდნენ. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, ექსტრემისტებს ჩვენ ბევრი ვუთმინეთ და ამან მისცა საშუალება ემოქმედათ დაუსჯელად და წამოეყენებინათ უსაფუძვლო პრეტენზიები.

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა მაიკლ დობსის სტატია, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის. მაიკლ დობსმა სტატიას წაუმძღვარა სტალინის სიტყვები: „სანამ საქართველო არსებობს, სოციალიზმის საქმე სასიკვდილო საფრთხეშია". ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრები ოსების პოლიტიკა ტრადიციულად ლოიალური იყო მოსკოვის მიმართ. საქართველოს ახლადარჩეული მთავრობის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოსკოვს ადანაშაულებს ოსების წაქეზებაში ქართველების წინააღმდეგ იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს საქართველოს გახდეს დამოუკიდებელი. ზვიად გამსახურდია ამბობს: „მოსკოვი გვსჯის იმის გამო, რომ უარი ვთქვით საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე და ხელი არ მოვაწერეთ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, გვსჯის იმის გამოც, რომ დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით. საბჭოთა არმია ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის ოს ექსტრემისტებთან ერთად. ისინი ოსებს აძლევენ ახალ ტექნიკას, რაკეტებს, იარაღს". ოსების ლიდერმა გერასიმე ხუგაევმა განაცხადა: „ჩვენ ქართული იმპერიალიზმისა უფრო გვეშინია, ვიდრე რუსული იმპერიალიზმისა". მაიკლ დობსი ამბობს, რომ 10 ათასამდე ქართველი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა სახლ-კარი ოსების შიშით. შეიარაღებული ოსები ცეცხლს უშენენ ქართულ სოფლებს, ოსებმა სიამოვნებით მიიღეს ცნობა ქართველი მილიციელის მოკვლის შესახებ.

სტატიის ავტორი განაგრძობს, რომ ქართველთა უნდობლობას ოსებისადმი ღრმა ფესვები აქვს, როდესაც წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, ოსები ბოლშევიკებს მიემხრნენ და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამისათვის ოსები დააჯილდოვეს იმით, რომ ავტონომიური ოლქი უბოძეს საქართველოში იმ დროს, როდესაც რუსეთში არსებობს ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

სადამ ჰუსეინის საიდუმლო ფონდი

ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის განკარგულებაში არსებული საიდუმლო ფონდები, ეტყობა, გაცილებით მეტია, ვიდრე წინათ ვარაუდობდნენ. როგორც უკანასკნელ ნომერში ავტორიტეტიანი ამერიკული ყოველკვირეული „ნიუსუიკი" იუწყება, ამას მოწმობს ლონდონში ერაყის ყოფილი დაგეგმვის მინისტრის ჯავად ჰაშემისაგან მიღებული მონაცემები. მისი თქმით, უკვე 1972 წელს ბაღდადმა ბაასის მმართველი პარტიის სახელით შექმნა სპეციალური ფონდი, რომელშიც გადაირიცხებოდა ნავთობის გაყიდვის შედეგად ქვეყნის მთელი შემოსავლის 5 პროცენტი. მას შემდეგ, როგორც ჯ. ჰაშემი ვარაუდობს, ამ ფონდში შეიძლებოდა 33 მილიარდი დოლარი დაგროვილიყო.

ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში სადამ ჰუსეინის საიდუმლო საფინანსო რესურსების საკითხის განხილვა მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ ქუვეითმა, რომელსაც ეგონა, რომ ერაყისაგან მიიღებდა სამხედრო რეპარაციებს, დაიქირავა ცნობილი ამერიკელი გამომძიებელი სავარაუდო სიმდიდრის ოდენობის განსაზღვრისათვის. ამ დღეებში გამომძიებელმა ინტერვიუ მისცა სი-ბი-ესის ტელეკომპანიას და განაცხადა, რომ ამ ბოლო 10 წლის მანძილზე ერაყის ხელმძღვანელობის საიდუმლო ანგარიშზე გადაირიცხა ნავთობის ვაჭრობის შედეგად მიღებული სულ ცოტა 10 მილიარდი დოლარი.

ძველი და ახალი სკვითები

გრძელდება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის ნაკადი. ჟურნალ „ნოვოე ვრემიას" კორესპონდენტმა მარინე შაკინამ, რომელიც ამავე დროს ე. წ. მესხეთელი თურქების „სპეციალისტიც" არის, მე-8 ნომერში სტატიაში „შიდა ქართლი ანუ არავითარი სამხრეთი ოსეთი" ასეთი აზრი განავითარა: „ქართველი ისტორიკოსები აღიარებენ, რომ ოსებმა კავკასიის ქედი გადმოლახეს მე-17 საუკუნეში. ოსი მეცნიერები კი მე-12 საუკუნეს ასახელებენ. არის სხვა თეორიაც: თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ოსები ალანთა ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის მხრივ სკვითების ჩამომავლები იყვნენ, მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ოსების საქართველოში ყოფნის ათასწლეულებზე, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ნახულია სკვითების სამარხები, რომლებიც მე-9 საუკუნით თარიღდება..."

ამიტომ „ოსები ცხოვრობენ თავიანთ ტერიტორიაზე და მათ არავითარი სტუმრის სინდრომი არ აწუხებთ". — აღნიშნულია „ადამონ ნიხასის" მოამბეში, იმოწმებს მარინე შაკინა, რომელიც წერს, რაც მოეპრიანება, ხოლო ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს გვერდს უვლის, კერძოდ იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ სკვითები ამ პერიოდში ცხოვრობდნენ დნეპრისა და დონის სტეპებში, ეწეოდნენ მომთაბარეობას და აღწევდნენ მდინარე დუნაის აუზის რაიონებსაც.

თუ ოსებს ნამდვილად სურთ თავიანთი ეთნოგენეზის გარკვევა, მათ საქართველოში არაფერი ესაქმებათ და თავიანთი კვლევა-ძიება ზემოთ აღნიშნული რეგიონებისაკენ უნდა წარმართონ.

კავკასიას კი ახსოვს ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულში სკვითების მიერ შევიწროებული კიმერიელებისა და შემდეგ თავად სკვითების გამანადგურებელი ლაშქრობები თანამედროვე ტუაფსე-სოჭის რაიონების გამოვლით და დერბენდის უღელტეხილთან.

• • •

სურათზე: ძველი და ახალი სკვითების ალიანსი, ანუ ოსები და წითელი არმიის ჯარისკაცები ცხინვალში.

გაფიცულ მეშახტეთა მხარდასაჭერად

სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოებამ „გუტუტიუნმა" („გულმოწყალება") ქვეყნის გაფიცული მეშახტეების დასახმარებლად 60 ათასი მანეთი გამოყო.

დაე, ეს მცირე მატერიალური დახმარება აღიქვან, როგორც ჩვენი სოლიდარობის გამოხატულება მეშახტეთა სამართლიანი ბრძოლისადმი, ნათქვამია საზოგადოების განცხადებაში.

როგორც ნებისმიერი ძალადობა წარმოქმნის უკურეაქციას, ისევე კეთილ საქმეებსაც აქვს გამოხმაურება, და მშრომელი ადამიანების ალალ-მართალი მისწრაფება დაეხმარება ყველას, წინ აღუდგნენ იმპერიის ტოტალიტარულ რეჟიმს, დაძლიონ ბოროტი ძალები, ხელისუფლების დამნაშავეობა, რომელიც ნებისმიერ ბოროტებას იკადრებს, ოღონდ გაიხანგრძლივოს თავისი არსებობის დღეები.

არმენპრეს-საქინფორმი.

დევიდ რემნიკი საბჭოეთის შესახებ

დევიდ რემნიკმა „ვაშინგტონ-პოსტში" გამოაქვეყნა სტატია სათაურით „რუს ნაციონალისტებთან" და ეკლესიასთან ერთად გორბაჩოვმა შექმნა უჩვეულო კოალიცია", რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ახლა, როდესაც საბჭოთა პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი რეფერენდუმებით და სხვა საშუალებებით იბრძვის საბჭოთა იმპერიის შესანარჩუნებლად, იგი გახდა არაოფიციალური ლიდერი ეთნიკური კოალიციისა, რომელშიც წამყვან როლს ასრულებენ რუსული ნაციონალისტური ძალები. გორბაჩოვი გვერდზე დაუდგა ურთიერთსაწინააღმდეგო კავშირს, რომელშიც შედიან სუკის და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურობა, კომუნისტური პარტია და ველიკორუსი ნაციონალისტები, რომელთაც სურთ როგორმე შეინარჩუნონ საბჭოთა კავშირის უდიდესი რესპუბლიკის — რუსეთის ბატონობა მთელ ქვეყანაში.

ამას წინათ გამართულ რეფერენდუმში გორბაჩოვმა ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა დაარწმუნა მისთვის მიეცათ ხმა არა იმით, რომ მიუთითა დაიცვან თავიანთი რწმენა საბჭოთა კავშირისადმი, არამედ იმით, რომ მათ შორის გააცოცხლა სწრაფვა წესრიგისა და ძალაუფლებისაკენ როგორც ეს იყო საუკუნეების მანძილზე, ოქტომბრის რევოლუციამდე. უმაღლესი პარტიული სკოლის ყოფილმა რექტორმა, ახალი ლიბერალური რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ვიაჩესლავ შოსტაკოვსკიმ განაცხადა: „ხალხმა დიდი ხანია დაკარგა რწმენა კომუნიზმისა და სოციალიზმის მითებისადმი, მაგრამ ბევრად უფრო ძნელია რწმენის დაკარგვა უზომოდ დიდი და მითური რუსეთის მიმართ. ესაა ბრძოლა ხელისუფლებისა და ჩვენი ისტორიისათვის და გორბაჩოვი გამოსადეგია, სანამ იგი სამშობლოს, „როდინას" მხარეზეაო. გორბაჩოვის ახალ მოკავშირეთა შორის ბევრი ისეთია, რომლებიც უწინ ეწინააღმდეგებოდნენ მის რეფორმებს. სუკის მეთაური ვლადიმერ კრიუჩკოვი, თავდაცვის მინისტრი დიმიტრი იაზოვი, რუსეთის კომპარტიის ლიდერი ივანე პოლოსკოვი, პოლკოვნიკი ვიქტორ ალქსნისი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ალექსი და რედაქტორები ისეთი ნაციონალისტური ჟურნალებისა, როგორიცაა „ნაშ სოვრემენნიკ". ეს მართლაც უჩვეულო კოალიციაა. ათეული წლების განმავლობაში კომუნისტები საქვეყნოდ ეომებოდნენ ეკლესიას, მაგრამ ახლა, როდესაც იდეოლოგია და ათეიზმი უკუგდებულია, კომუნისტები და ეკლესია, განსაკუთრებით კი მისი კონსერვატორულად განწყობილი მეთაურობა, შეიკვრნენ საერთო საქმისთვის. მათთვის მიუღებელია ის იდეა, რომ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, დასუსტდეს.

ამას წინათ მოსკოვში, წითელი არმიის თეატრის სცენაზე ერთად იდგნენ ოფიცრები და მღვდლები, რომლებმაც გამოაცხადეს თავიანთი ერთობა, ისინი ლაპარაკობენ არა ლენინსა და გორბაჩოვზე, არამედ ალექსანდრე ნეველზე, დიმიტრი დონსკოიზე და რუსეთის ისტორიის სხვა განთქმულ მღვდელ-მხედრებზე. ერთ-ერთმა მღვდელმა აკურთხა ახალგაზრდა ჯარისკაცი სიტყვებით: „ღმერთია თქვენი გენერალი", სხვამ განაცხადა: „მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის კომპარტიის ბილეთი უდევს ჯიბეში და ვის კიდევ ჯვარი. რუსეთის მხარეზე ერთად დგას ჯარი და ეკლესია". ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული დამცველი იმპერიისა, ლენინგრადის ტელეკომპანიის „600 წამის" წამყვანი ნევზოროვი აცხადებს, ტელევიზია იარაღიაო. ჟურნალისტები ყოველთვის რაღაცას ემსახურებიან და მეც ჩემს ქვეყანას ვემსახურებიო. ნევზოროვის აზრით, ქვეყანას ადრე თუ გვიან დასჭირდება სამხედრო ძალის მეშვეობით გადატრიალება წესრიგის შესანარჩუნებლად. იგი აცხადებს, თუ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები დამოუკიდებლობას მოიპოვებენ, ასიათასობით რუსი გაიქცევა ლენინგრადში, რაც კატასტროფას გამოიწვევს რადგან ამ ხალხს დასჭირდება მატერიალური დახმარება, ქვეყანა კი დიდ გასაჭირშია ეკონომიკურად, მდგომარეობა კი, ალბათ, კიდევ უფრო გაუარესდება, როდესაც ფასების მომატება ძალაში შევა.

უნგრეთში ღვინის მოხმარების შესახებ

უნგრეთის ყოველ მოქალაქეზე, ჩვილი ბავშვების ჩათვლით, წელიწადში მოდის 20 ლიტრი ღვინო, 100 ლიტრზე მეტი ლუდი და თითქმის 10 ლიტრი სპირტიანი სასმელი. ასეთია უნგრეთის კვების მრეწველობის ზოგიერთი სახეობის პროდუქციის მოხმარების სტატისტიკა.

არც ერთი დღეობა, იქნება სახალხო თუ რელიგიური, მაგალითად შობა, აღდგომა, არ იმართება მაგარი სასმელების გარკვეული რაოდენობის გარეშე. და ამ დროს სუფრასთან დიდებთან ერთად ხშირად ბავშვები და ყმაწვილებიც სხდებიან. ისინი, ვინც ამჟამად „ომი გამოუცხადა" სპირტიან სასმელებს უნგრეთში, უწინარეს ყოვლისა, შეშფოთებას გამოთქვამენ ბავშვთა ალკოჰოლიზმის გავრცელების გამო და მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა თანდათან „ხალხის დაავადება" ხდება.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უნგრეთს ამჟამად პირველი ადგილი უკავია ღვიძლის ციროზის სიკვდილიანობის მხრივ. უნგრელი მამაკაცები ხუთ-ექვსჯერ უფრო ხშირად ავადდებიან ამ სნეულებით, ვიდრე სხვა ქვეყნებში, როგორც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები ცხადყოფს, მათ არც ქალები ჩამორჩებიან.

გამოთქვამენ რა შეშფოთებას ქვეყანაში ალკოჰოლიზმის ზრდის გამო, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ უნგრეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სპირტიან სასმელებზე ხარჯავს ოჯახის საშუალო შემოსავლის 5-10 პროცენტს. მაგალითად, აღდგომასთან დაკავშირებული სამი დღეობის მანძილზე საშუალოდ თითოეული ოჯახი იძენს 5-10 ბოთლ ლუდს, 2-3 ლიტრ ღვინოს. თუ წინათ უნგრეთი ცნობილი იყო როგორც „ღვინის მსმელი" ქვეყანა, დღეს, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, იგი სულ უფრო მეტად ხდება „ლუდის მსმელი".

რუსების პოზიცია

რუსეთის მოსახლეობა დასავლეთის დახმარებას სულ სხვაგვარად ეკიდება, ვიდრე ლიტვის, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მცხოვრებნი. ეს ცხადყო საერთაშორისო გამოკითხვამ, რომლის შედეგები გამოაქვეყნა ყოველკვირეულმა „ნიუსუიკმა". მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ბუდაპეშტელ მეცნიერთა კვლევის მონაწილეებს შერჩევით შესთავაზეს ორი პასუხი: „ჩვენს პრობლემებს გადავჭრით მხოლოდ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების დახმარებით" და „შეგვიძლია ჩვენვე გადავჭრათ ისინი დამოუკიდებლად".

უცხოეთის მხარდაჭერაზე ყველაზე დიდ იმედს ამყარებენ ლიტვაში, სადაც ხმები გაიყო 10 პროცენტისადმი 84 პროცენტის თანაფარდობით პასუხის პირველი ვარიანტის სასარგებლოდ. უნგრეთში დასავლეთის დახმარების იმედი აქვს გამოკვლევის მონაწილეთა 79 პროცენტს, 16 პროცენტს კი შესაძლებლად მიაჩნია, რომ იოლად გავლენ საკუთარი ძალებით. ჩეხოსლოვაკიაში მაჩვენებლები შეადგენს 68 პროცენტს 19 პროცენტის წინააღმდეგ, პოლონეთში — 57 პროცენტს 29 პროცენტის წინააღმდეგ.

რაც შეეხება რუსებს, ისინი აღმოჩნდნენ გამოკითხულთა შორის ერთადერთნი, ვინც დამოუკიდებლობა ამჯობინა. უპირატესობა ხმებში საგრძნობი იყო — 61 პროცენტი 26 პროცენტის წინააღმდეგ.

რამდენიმე სტრიქონით

ხორვატიის რესპუბლიკის კრაინას რაიონში, სადაც უმეტესად სერბები ცხოვრობენ, ეთნიკურ ნიადაგზე შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც დაიღუპა 2 და დაიჭრა 12 კაცი. რაიონში იუგოსლავიის ე. წ. სახალხო არმიის ქვეგანაყოფებია შეყვანილი.

ერაყის ქურთისტანის მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი ქალაქი კირკუკი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. უკანასკნელი მონაცემებით, მას კვლავ ჰუსეინის ერთგული ჯარები აკონტროლებენ.

ამერიკელმა სენატორმა მიტჩელმა თავის ადმინისტრაციას მოსთხოვა ერაყის იმ შვეულმფრენების ჩამოგდება, რომლებიც აჯანყებული ქურთების პოზიციებს ბომბავენ.

სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი კაიროში ეგვიპტის პრეზიდენტს ხოსნი მუბარაქს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოლიტიკური მოღვაწე სადამ ჰუსეინის რეჟიმის მოწინააღმდეგეა, არც ერთმა არ გამოთქვა ერაყის დაყოფის სურვილი.

კუზბასის ქვანახშირის აუზის მემაღაროელებმა, რომლებიც ხელფასის მომატებას, საპენსიო უზრუნველყოფის სრულყოფას და პრეზიდენტ გორბაჩოვის გადაყენებას მოითხოვენ, განაცხადეს, რომ, თუ მათი მოთხოვნები უახლოეს დროში არ დაკმაყოფილდა, ქვანახშირის მაღაროებს წყლით ამოავსებენ.

ბრაზილიური გაზეთი „ფოლია დი სან-პაულუ" იუწყება, რომ ქალაქ ტაბატინგის ხელისუფლებმა კავშირი გაწყვიტეს პერუსთან და კოლუმბიასთან, რათა თავიდან აიცილონ პერუდან ქოლერის ეპიდემიის გავრცელების საშიშროება და კოლუმბიელი პარტიზანების მუქარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე

ნიკო მუსხელიშვილის საიუბილეოდ

მიმდინარე წლის ივნისში საქართველო აღნიშნავს გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დაბადების 100 წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში მოეწყობა საერთაშორისო სიმპოზიუმი. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართება აგრეთვე სხვა საიუბილეო ღონისძიებანი საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერთა და სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება ნიკო მუსხელიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მაღალორგანიზებულად განხორციელებისათვის. ამ მიზნით გამოიყო სათანადო სახსრები და რესურსები, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ მითითება უზრუნველყონ სიმპოზიუმის მონაწილეთათვის საუკეთესო კულტურული, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, ტურისტული და სატრანსპორტო მომსახურება.

რესპუბლიკის პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში ფართოდ გაშუქდება აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დამსახურება მეცნიერებისა და საქართველოს წინაშე.

[illegible]პროფესიული კინოს [illegible]ერთაშორისო [illegible]ესტივალი სა[illegible]ლოში

ქართული არა[illegible] ნოხელოვნების შემოქმედ[illegible] და ტექნიკური შესაძლებლობების საერთაშორისო დონემდე გასაზრდელად, მისი მსოფლიო ასპარეზზე წარჩინებითა და ფართოდ გატანის მიზნით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების არაპროფესიული კინოს საუკეთესო ნიმუშების ქართველ კინომოყვარულთათვის გასაცნობად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება.

ამ გადაწყვეტილებით მთავრობა დაეთანხმა საქართველოს დამოუკიდებელი კინოვიდეო ასოციაცია „ჯორჯიას" წინადადებას იმის შესახებ, [illegible] წლის 6-დან 17 [illegible] ქალაქ თბილისში გაიმართ[illegible] [illegible]ოფესიული კინოს საერთაშორისო კავშირის „უნიკა-91"-ის ფესტივალი.

დამტკიცდა „უნიკა-91"-ის ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარის თემურ ქორიძის მეთაურობით.

ფესტივალი გაიხსნება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. აქვე მოეწყობა საკონკურსო ფილმების ჩვენება.

რესპუბლიკური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ გააშუქებენ ფესტივალის მოსამზადებელ პერიოდსა და მსვლელობას.

საქინფორმი.

ხსოვნა

ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვაწლი



დიდი ილია ამბობდა: „დიდის დანახვა ადვილია, საქმე ის არის, იმ ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედაბოძად უდგას თავის საზოგადოებას".

ქართული საზოგადოებრივი ისტორიის მკვლევართა კალამს მხედველობიდან გამორჩა ისეთი შესანიშნავი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის სახელი, როგორიც იყო გრიგოლ გველესიანი.

გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი დაიბადა 1870 წლის 18 სექტემბერს ქუთაისში, შეძლებულ ოჯახში. მისი ოჯახი ბავშვობიდანვე უნერგავდა მას ქართული წიგნის ინტერესსა და ქართული ლიტერატურის სიყვარულს.

პირველდაწყებითს სწავლას გრიგოლი იღებს ცნობილი პედაგოგის ალექსი ჭიჭინაძის სკოლაში, ხოლო შემდეგ შედის ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მოწაფეობიდანვე დიდ მისწრაფებას იჩენდა ქართული ლიტერატურისადმი, აგროვებდა ძველ ხელთნაწერებს, ქართული წიგნების იშვიათ გამოცემებს, რის შედეგადაც ძვირფასი ბიბლიოთეკა შექმნა. მისი პირველი წერილი, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ბავშვობის ასაკს ეკუთვნის, გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა. მოწაფეობის პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე რუსეთის მთელ რიგ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებების თარგმანი და საკუთარი ლექსები, რომელთაც ათავსებს მაშინდელ ჟურნალ „მწყემსში" და ჟურნალ „თეატრში".

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გრიგოლი აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი აქტიურად მონაწილეობდა არალეგალური ქართული სათვისტომოს მუშაობაში. სტუდენტთა გამოსვლების დროს დააპატიმრეს და „ბუტირკაში" გამოამწყვდიეს.

სტუდენტობის დროს გრ. გველესიანი ჟურნალ-გაზეთებში ათავსებს წერილებს სხვადასხვა საკითხზე.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, გველესიანი იქცევს ილია ჭავჭავაძის ყურადღებას. იგი ილია ჭავჭავაძეს მოსკოვიდან უგზავნის ვრცელ წერილს უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, სათაურით: „უნივერსიტეტის დაარსების გამო ჩვენში", ეს წერილი ილიამ „ივერიაში" იმავე წელს დაბეჭდა პირველ გვერდზე მოწინავედ (1890 წ.).

საყურადღებოა, რომ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი ნაბიჯი გადაიდგა გრიგოლ გველესიანის სახლში, სადაც ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით მოიწვიეს რამდენიმე სხდომა.

გრ. გველესიანის სახლი საზოგადო მოღვაწეების თავშესაყრელ ადგილს წარმოადგენდა.

1898 წელს გრიგოლ გველესიანი ამთავრებს უნივერსიტეტს პირველი ხარისხის დიპლომით.

ორი წლის შემდეგ გრიგოლი აირჩიეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს გამგეობის წევრად, ქალაქის თავის მოადგილედ.

რუსეთის ხელისუფლება სდევნის საქართველოს მხურვალე პატრიოტს. მას სახლი და მთელი ქონება გადაუწვეს. გრიგოლი დაპატიმრების თავიდან აცილების მიზნით მთელი ოჯახით ქუთაისს გაეცალა და საზღვარგარეთ, საფრანგეთში გადასახლდა. იგი აქაც განაგრძობს პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თანამშრომლობდა ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში. პარიზში (ფრანგულ ენაზე) აქვს გამოცემული 2 ბროშურა, რუსეთის მიერ საქართველოს ჩაგვრის შესახებ.

1911 წელს გველესიანმა მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ჩამოსვლისთანავე სამართალში მისცეს, მან თავი დაალწია წაყენებულ ბრალდებებს და კვლავაც განაგრძო პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მუშაობა. იმავე წელს გრიგოლი „კოლხიდაში" აქვეყნებს პუბლიცისტურ სტატიას, „პუბლიცისტური ესკიზები (ჩვენი საქმე სხვას რათ ეპრიანება)".

1917 წლის შემდეგ გრ. გველესიანი მუშაობდა ქუთაისის გუბერნიის საადგილმამულო კომისიაში, დროებით დაინიშნა გუბერნიის კომისრად.

1917 წლიდან გრიგოლმა გადაინაცვლა თბილისის საქალაქო საბჭოში. შემდეგ იუსტიციის სამინისტროში მინისტრის თანაშემწედ საბოლოოდ კი — სენატში, სადაც თავმჯდომარეობდა საადმინისტრაციო-სამოქალაქო სამართლის განყოფილებას. შემდეგ გრიგოლი საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის წევრად აირჩიეს, ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში გრიგოლი იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო. 1921 წლის დამდეგს დამთავრდა გრ. გველესიანის თავისუფალი მოღვაწეობა. მარტში ბათუმში გადაწყდა მთავრობის ემიგრაციაში წასვლა. გრიგოლი და მისი მეუღლე მელანია არ დათანხმდნენ და სამშობლოში დარჩნენ.

გრიგოლ გველესიანი გარდაიცვალა 1926 წელს. ქართველმა ხალხმა უანგარო დამსახურებისათვის მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. მის გვერდით განისვენებს მისი მეუღლე მელანია გველესიანი.

ახლახან შესრულდა გრიგოლ გველესიანის დაბადებიდან 120 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს საისტორიო საზოგადოების თბილისის ორგანიზაციამ, მისი თავმჯდომარის, ბატონ მიხეილ გაფრინდაშვილის თაოსნობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, მოაწყო გრიგოლ გველესიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ხოლო არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებამ მისი თავმჯდომარის, ბატონ ედიშერ გიორგაძის თაოსნობით საქართველოს ჟურნალისტთა სახლში მოაწყო გრიგოლ ივანეს ძე გველესიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც მოიწვიეს ამ საზოგადო მოღვაწის შვილი, პროფესორი ლევან გველესიანი, შვილიშვილები, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გურამ გველესიანი და მეცნიერებათა კანდიდატი თემურ გველესიანი; საღამოს ესწრებოდნენ აგრეთვე გრიგოლ გველესიანის ახლობლები და ნათესავები.

არ შეიძლება, ცალკე არ აღინიშნოს გრიგოლის ვაჟის, 85 წლის მიტანებული პროფესორ ლევან გველესიანის გამოსვლა, რომელმაც მოხიბლა საზოგადოება თავისი ხატოვანი სიტყვით და დამოუკიდებელი საქართველოს ემბლემების თუ სხვა რელიკვიების წარმოჩინებით, რომლებსაც იგი ასეთი რუდუნებით ინახავდა ამდენ ხანს.

გრიგოლ გველესიანის მოღვაწეობისა და ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ასევე საღამოზე გამოითქვა აზრი, რომ ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ამ შესანიშნავი საზოგადო მოღვაწის სახელი.

ლამზირა ძირკველიშვილი.

კრიმინალური ქრონიკა

ადამიანებმა მშვიდად რომ იცხოვრონ

ოპერატიული ვითარება ინდუსტრიულ რუსთავში მეტად დამძიმებული იყო. ქურდობა, ძარცვა, ბინის გატეხა, ავტომანქანის გატაცება, დაჭრა, მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ადამიანები შფოთავდნენ, შეიძლება ბინიდან გამოსულიყვნენ და უკან ველარ დაბრუნებულიყვნენ, ან სახლში მისულთ მთელი ქონება წაღებული დახვედროდათ. ღამე კი შესაძლოა ბინაც აეფეთქებინათ. აკი კიდეც აუფეთქეს ერთ-ერთს — თანაც მეშვიდე სართულზე. ერთი სიტყვით ღამის ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნა.

ქალაქის პრეფექტის თემურ ჯანელიძის თაოსნობით ამ ურთულეს ვითარებაში შეიცვალა შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობა. უფროსად დაინიშნა ქალაქის მკვიდრი, ე. წ. დამნაშავეთა სამყაროს რისხვა, მილიციის პოდპოლკოვნიკი ფრიდონ კენკებაშვილი... ბრძოლა იქნება უკომპრომისო, არავითარი დანდობა ბოროტმოქმედთ, ადამიანებმა მშვიდად უნდა იცხოვრონ, — ასე ჩამოაყალიბა მან თავისი მომავალი საქმიანობის კრედო.

ჩვენ ვზივართ განყოფილების უფროსის მოადგილის ემზარ ნარსიას კაბინეტში და ვეცნობით უკანასკნელი დღეების კრიმინალურ ქრონიკას. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ გაუვნებელყოფილი და დაკავებულია ქურდების, მათ შორის ე. წ. „კანონიერი ქურდების" რამდენიმე ჯგუფი.

„ხმელა" მეტსახელით ცნობილი გიორგი ხმელიძე, ადრე ნასამართლევი იყო მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის. ციხის საკანმა ჭკუა ვერ ასწავლა, „პროფესიას" არ უღალატა, მაგრამ მის „ოდისეას" წერტილი დაესვა. დაკავებისას მას აღმოაჩნდა ლილაკიანი თვითნაკეთი დანა და 18 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა". მასთან ერთად შეწყდა მისი თანამეინახის გოჩა ტატუაშვილის თარეშიც. გამოძიება დაადგენს ყველა მათ ცოდვას და მართლმსაჯულება კუთვნილს მიუზღავს.

დამთავრდა ქურდების წრეში „ლიოხად" მონათლული აზიზ ასლანოვის პარპაშიც. ეს ნასამართლევ-ნაპატიმრალი პიროვნება ნარკომანიც გახლავთ. პირადი ჩხრეკის დროს ბინაში (მეგობრობის გამზირი 1-121) 1,5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმიც" უპოვეს. ამ ოპერაციაში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პროფილაქტიკური სამსახურის მუშაკებიც მონაწილეობდნენ.

რუსთაველმა სიმშვიდის გუშაგებმა ეჭვი მიიტანეს ვაზ-21011 მარკის ავტომანქანაზე, რომელსაც გენადი გოგილაშვილი მართავდა, გვერდით კი გოჩა მიშელაშვილი ეჯდა. ჩეკისტებს ალღომ არ უღალატა, ჩხრეკის დროს დაკავებულებს აღმოაჩნდათ 90 გრამი „მარიხუანა" თითოეულს. დამნაშავეებმა აღიარეს, რომ იგი გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში ვინმე „კრილესაგან" შეუძენიათ. ოპერაცია გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებთან ერთად გაგრძელდა. სოფელ ჯანდარაში დააკავეს 45 წლის კირილე ჩხეტიანი, რომელსაც, გარდა ამისა, მიწაში ჩამარხული და გადამალული აღმოაჩნდა 1650 გრამი სრეალიზაციოდ გამზადებული „მარიხუანა". ჩხეტიანმა აღიარა, რომ „სიკვდილის შხამი" მას მოჰყავს სვანეთში. დააკავეს ნარკოტიკების გავრცელებაში ეჭვმიტანილი ჯანდარელი მარლენ გუგუსიანიც. მას ჩხრეკისას უპოვნეს ასაფეთქებელი „კაფსულ-დეტონატორიც".

ბინის ქურდობისათვის ადრე ნასამართლევი ვალლავ მარუხიანი ნოდარ ბარსეგიანის ბინის გაქურდვის მცდელობის დროს დააკავეს. მან აღიარა სხვა ბინის გაქურდვაც. როგმან ალიევიც იყო დაპატიმრებული ქურდობისათვის. ახლა იგი ნინო მამაცაშვილის ბინის გაქურდვისას დააკავეს და აღიარა, რომ თვენახევრის მანძილზე — დეკემბერ-იანვარში 16 ბინა გაქურდა. ოთხჯერ მისი ამფსონი იყო გიორგი წაქაძე, ისიც ქურდობისათვის ადრე ნასამართლევი, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში მისი გაწვრთნილი კახაბერ შუშანაშვილი ედგა გვერდში, რომელიც ამჟამად მიმალულია, მაგრამ მართლმსაჯულებას ვერსად გაექცევა.

გაუვნებელყოფილია ქურდების კიდევ ერთი ჯგუფი. № 86 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე დავით ტალახაძე და კოოპერატივ „გამწყობის" მუშა გარი კოჩიევი ალექსანდრე იაკუშევის ბინის ქურდობისას დააკავეს. ისინი გამოტყდნენ და აღიარეს: იანვარ-თებერვალში 7 ბინა გაუქურდავთ. ქურდობაში მათთან ერთად მონაწილეობდნენ აგრეთვე ზურაბ ბუნტური და რევაზ გასიევი. ნაქურდალი ოქროს ნივთები კი ზ. ბუნტურმა ბიძას — ადრე ნასამართლევ ვაჟა ქობულაშვილს გადასცა. მან სწრაფად დაიცალა ხელი: 3500 მანეთად მიჰყიდა დაუდგენელ პირს.

რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები ერთმა საოცარმა ფაქტმა შეაშფოთა. განყოფილებასთან არსებული დაცვის განყოფილების მილიციელ თ. ქელეხსაშვილს იარაღი აართვეს, — ბოღმით ავივსე, ჩვენ მთელ ქალაქს ვიცავთ და ეს რა დაგვემართა, — ამბობს განყოფილების უფროსი ფრიდონ კენკებაშვილი. მივაკვლიე, რომ დამნაშავე ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქუჩაზე მცხოვრები ნიკოლოზ ბერიკიშვილი იყო, რომელიც, თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის პატიმარი, რესპუბლიკის საავადმყოფოდან გამოქცეულა. მისი დაძებნისა და დაკავების საქმე ჩემს ხელთ ავიღე და წარმატებით დავასრულე. ჩხრეკისას აღმოაჩნდა „მაკაროვის" სისტემის იარაღი 6 საბრძოლო ვაზნით, მათ შორის ერთი სავაზნეში იყო მოთავსებული. მასვე თან ჰქონდა 535 მანეთი. თუმცა ამ ფაქტით ვერავის გააკვირვებ მას შემდეგ, რაც რუსთავის მილიციის მუშაკებმა ტყვიამფრქვევიც ჩაიგდეს ხელთ, რომელიც თითქოს საიმედოდ ჰქონდათ გადამალული დამნაშავე ელემენტებს, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ. მათ არ იციან, რომ რუსთავის მილიცია ფხიზლობს, მის მუშაკებს ბევრი უძილო ღამე აქვთ გატარებული, სიცოცხლის ფასად რისკზეც მიდიან, არაფერს არ იშურებენ, რომ ქალაქმა მშვიდად იცხოვროს და იღვაწოს. წინ ახალი მამაცური და საშვილიშვილო საქმეები ელით.

ფრიდონ კენკებაშვილმა ერთ საყურადღებო გარემოებასაც გაუსვა ხაზი: ზოგიერთი ქურდი და ავაზაკი ხშირად ეროვნულ მოძრაობასა და პოლიტიკური პარტიების სახელს ეფარება, სინამდვილეში კი მათთან საერთო არაფერი აქვთ. ჩვენ ასეთებს მთელი სისასტიკით ვეკიდებით, არავის არ მივცემთ იმის უფლებას, ოდნავაც კი გაუტეხონ სახელი ფართოდ გაშლილ პატრიოტულ მოძრაობას, — დასძინა მან.

დავით ბიწაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

მართლწესრიგი

კიდევ ერთხელ მოუწოდა

რესპუბლიკის ურთულესი ოპერატიული ვითარების ანალიზი და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის ტაქტიკის გაუმჯობესების საკითხები იყო ძირითადი თემა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 22 თებერვალს გაიმართა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, დილარ ხაბულიანმა, კიდევ ერთხელ მოუწოდა მილიციის მუშაკებს იყვნენ ფხიზელნი, ვაჟკაცურნი და ერის საქმის ერთგულნი. აღნიშნა ზოგიერთი რაიონის მილიციის უფროსების ოპერატიულობა მხედრიონის ბანდის წევრთა დაკავებისას და დასძინა, რომ ზოგ რაიონში, ამ მხრივ, მილიციას მეტი შემართება მართებს.

— ხალხს, ბოროტმოქმედნი შიშის ზარს არ უნდა სცემდნენ, მათ ის ეკონომიკური გაჭირვებაც ეყოფათ საბჭოურმა სისტემამ რომ დაატეხა თავს, მთავარია სიმშვიდე იყოს და ყველაფერს მოევლება — თქვა მან.

კრიმინალური, განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულობების კატასტროფულ ზრდაზე ილაპარაკა მინისტრის მოადგილემ რომან გვენცაძემ.

— მარტო გასულ წელს 12 000-მდე დანაშაული მოხდა, — აღნიშნა მან. — მიმდინარე წელს უკვე 1 000-ზე მეტი დანაშაულია დაფიქსირებული. მიუხედავად სიძნელეებისა, მილიციამ აუცილებლად უნდა გააქტიუროს მუშაობა. საჭიროა სწორად გავაანალიზოთ არსებული ვითარება და აქედან გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

სხდომაზე გამოვიდნენ, აგრეთვე, შს სამინისტროს რიგი სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები.

მხატვრობა

[illegible]ფერებიდან ამონათებული შუქი

მხატვარმა ნოდარ ბადურაშვილმა არაერთგზის მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება. [illegible]ვი დაგვამახსოვრა ჯგუფური გამოფენებიდან, მაღალპროფესიული კინომხატვრობითაც.

ნოდარ ბადურაშვილი თავისი მხატვრობით მნახველის თვალში წარმოდგება აქტიურ შემოქმედად, რომელიც მხარს უბამს თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში მიმდინარე რთულ პროცესებს და საკუთარი, განუმეორებელი ხმა მოიპოვა თავის თაობაში — 80-ანელთა თაობაში.

ნოდარმა სამხატვრო აკადემიის კინო-ტელემხატვრობის ფაკულტეტი დაამთავრა. ხუთი წელი იმუშავა კინოში და უნდა ითქვას, რომ საგრძნობ შედეგსაც მიაღწია — სწორედ აქ გამოვლინდა მისი ნიჭი და მხატვრული ალღო. მოაზროვნე, მაძიებელი, ნატიფი კინომხატვარი ჩანს ტელეფილმიდან „ათოვდა ზამთრის ბაღებს" (რეჟისორი გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილი) და მხატვრული ფილმიდან „აქედანა და შენამდე" (რეჟისორი ლეილა გორდელაძე).

სხვისი არ ვიცი და მე, როცა ეს ფილმი — „ათოვდა ზამთრის ბაღებს" ვნახე, მისი მხატვარი გამორჩეულად დამამახსოვრდა. ამ ფილმმა ინტერესით განმეწყო საერთოდ მისი მომავლისადმი. მხატვრის სახლთან არსებულ ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნოს შარშანდელ გამოფენაზეც (იგი დღესაც ამ სახელოსნოს წევრია) მან შთამბეჭდავი ნიმუშები წარმოადგინა, განსაკუთრებით აღსანიშნავია იდუმალებით მოცული ტილო „გინახავთ ფერი დაბინდულ ქლიავის"...

... და აი, მორიგი შეხვედრა მხატვართან — საქართველოს კულტურის ფონდის ფირმა „არდიექსის" ხელმძღვანელები ზურაბ კარგარეთელი და დავით ნაცვლიშვილი) თაოსნობით, გამომცემლობა „მერანის" საგამოფე[illegible]ბაზში გაიხსნა ნოდარ ბად[illegible]შვილის ნამუშევრების გამოფენა[illegible], ამავე დარბაზში დიდი წარმატება ერგო 80-[illegible]ელთა თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, [illegible]მალ კუხალაშვილის გ[illegible] გაყიდვას, იგი მხატვრისთვისაც და მნახველისთვისაც სასარგებლო და სასიამოვნო აღმოჩნდა.

გამოფენაზე ნოდარ ბადურაშვილმა 40-მდე სურათი წარმოადგინა. მხატვარმა ვერნისაჟზე თქვა, რომ ძალიან ღელავს, რადგან — ადრე, ჯგუფური გამოფენების დროს მხატვრები ერთმანეთს ვასესხებდით ხოლმე, ერთმანეთით ვმხნეობდით, აქ კი მარტო ვარ, ეს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენაა.

ნოდარ ბადურაშვილის ნახატებში ფანტაზიისა და რეალობის, სინამდვილის და მირაჟის შერწყმაა, ემპირიული პლანი არ არის გამოცალკევებული მეტაფორული, სიმბოლური პლანისაგან. იგი ლირიკული ინტონაციის მხატვრად რჩება ყველგან, მისი ფანტაზია ზღვარდაუდებელია, ფეიერვერკულ ზღაპრებს გვთავაზობს. ჩვენს არეულ, მშფოთვარე ყოფაში, იგი ზღაპრული სამყაროთი შემოდის და თავისი სულიერი ნათელით სალბუნად ედება ადამიანთა სულებს, ამაღლებულთან გვაზიარებს.

მდიდარია ნოდარ ბადურაშვილის ნამუშევართა ფერწერული ქარგა. მას თანდაყოლილი აქვს ფერწერული ტექნიკის ფართო დიაპაზონი. მხატვრის კოლორისტული ძიება, ერთობ საინტერესო და მნიშვნელოვანია, ტილოს ზედაპირს მრავალშრიანი ფერწერის პრინციპით ამუშავებს, მას ხელეწიფება ნებისმიერი ფერწერული სირთულის გადაწყვეტა, არ იფარგლება ერთი რომელიმე ამოჩემებული ფერით, ერთნაირი ოსტატობით, ქმნის ფერწერული გამის ერთიან ჟღერადობას, გამოსახულება ყველგან ფერის საშუალებითაა განხორციელებული.

ახლახან, გაზეთ „მხატვარში" გავეცანით ნოდარ ბადურაშვილის ზღაპარსა და ესეს. ეს ლიტერატურული ოპუსები გვეხმარება ამოვხსნათ მხატვრის განწყობა — ბავშვურად ალალი და გულუბრყვილო. მან შეინარჩუნა მიამიტობა, სისპეტაკე და მოაქვს იგი ჩვენს სულებამდე, ამაზე მეტი რაღა ევალება ხელოვანს — ადამიანებში სულიერება აღორძინოს, ბავშვობასა და ზღაპარში დაგვაბრუნოს.

გამოფენაზე მხატვრის ბოლო ორი წლის ნამუშევრებია. ვერც ერთ მათგანს გულგრილად ვერ ჩაუვლით, ისინი თავად გიწვევენ დიალოგში. რომელი ერთი ვახსენოთ: „ოცდახუთსა დეკემბერსა", „ასე ტკბილად დამიბერდით", „ორთაბრძოლა", „მოლოდინი", „შედეგი", „ე ს სიყვარული", „კონჩერტო", „37", „მოვალ შენთან", „ხვატი", „ღვთისმშობლის ტახტრევანი", „სვლა დავიწყებისაკენ", „თამაში", „ახალი მთვარე", „დღე სიყვარულისა", „გაზაფხული მოდის", „როცა ყველა გიყვარს", „გუშინდელი იმედი"...

ნოდარ ბადურაშვილის ნახატებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბუნების ფერებიდან ამონათებული შუქი, თვით ბუნების ფერების სხივოსნობა" (დავით კაკაბაძე) აქაც სხივოსნობა თვით სურათის ფეროვანებიდან მოდის, თვით სურათია სხივოსანი. მხატვრის ღირსება იმაშიც გამოიხატება, რომ იგი კარგად იცნობს რა კლასიკურ და თანამედროვე ფერწერას, მაინც დამოუკიდებლობისაკენ, თავისთავადობისაკენ მიისწრაფვის, გულწრფელია თვითგამოხატვაში. ამ ნამუშევრებში დაუფარავად აისახება მისი შინაგანი სამყარო, ზნეობა, ინტელექტი. იგი საკუთარი მრწამსიდან გამომდინარე ქმნის, მხოლოდ იმას ხატავს, რასაც ხედავს. ასე რომ, ყველა სურათი ერთგვარი აღსარებაა მაყურებლის წინაშე. ეს გამოფენა უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია, მან მომწიფებული მხატვარი წარმოაჩინა, ტონის, კოლორიტის, ჰარმონიის ოსტატი — ჩანს რომ ხელოვანი ამ საკითხებზე ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს.

მოაზროვნე, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნმა მხატვარმა კარგად იცის, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება, რომ მუდმივი ძიებისა და შრომის გარეშე ღირებულს ვერაფერს შექმნი.

ამ გამოფენის დათვალიერების შემდეგ ერთი, ერთადერთი შეკითხვა მქონდა მხატვართან.

— რაში პოულობთ ქმნისა და შემოქმედების ძალას? მან ასე მიპასუხა:

— არ ვიცი, თავში მუდამ ერთი აზრი მიტრიალებს: მუშაობა! მუშაობის დროს სულს ვითქვამ ხოლმე...

ნოდარ ბადურაშვილის ამგვარი დამოკიდებულება პროფესიისადმი გვაიმედებს, რომ სამომავლოდაც იგი არაერთ სერიოზულ შემოქმედებით წარმატებას მიაღწევს.

ასე რომ, ჩემი მხრივაც გიწვევთ ნოდარ ბადურაშვილის გამოფენაზე, მით უმეტეს, რომ შეგიძლიათ სასურველი ტილო თქვენი საკუთრება გახდეს, მართალია ბევრს უკვე მფლობელი ჰყავს, ისინი მხოლოდ გამოფენის დახურვამდე ამშვენებენ ექსპოზიციას.

გიორგი ლალიაშვილი.



* * *

სურათებზე: მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი და მისი ნამუშევრები „უდარდელთა ნადიმი" და „ახალი მთვარე".

შალვა ბოჭაძის ფოტო.

წერილები რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

მინდა მოგახსენოთ, რომ ამა წლის 12 მარტის გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ მიმართვას ტელევიზიის ხელმძღვანელობისა და პრესის მუშაკებისადმი მოვაწერე ხელი ინიციალითა და გვარით, შემდგომში შეცდომით ჩემი სახელი „მაია" გაიშიფრა, როგორც „მანანა", ჩემს ხელმოწერას ვადასტურებ და ვაცხადებ, რომ აქ ფალსიფიკაცია არ ყოფილა.

მაია კობახიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი.

ღია წერილი ქალბატონ მანანა კობახიძეს

ქალბატონო მანანა, მართალი გითხრათ, გამაკვირვა თქვენმა კატეგორიულმა ტონმა, თავდაჯერებულობამ, რომ გაზეთ „საქართველოს" ა. წ. 12 მარტის ნომერში „ტელევიზიის ხელმძღვანელობისა და პრესის მუშაკებისადმი" მიმართვის ხელმომწერთა შორის მაინცდამაინც თქვენა ბრძანდებით ის ერთადერთი მანანა კობახიძე, რომელიც შეძლებდა ჩვენი სასიქადულო ინტელიგენციის გულისტკივილის გაზიარებას პრესისა და ტელევიზიის ტენდენციურობის გამო. ღვთის მადლით; საქართველოში მრავლად არიან ალექსანდრე ჯავახიშვილები, მზია ბაქრაძეები, ნიკო ჭავჭავაძეები, მანანა გიგინეიშვილები, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უფიქრია, რომ მიმართვას მათ მაგივრად სხვები აწერდნენ ხელს.

გაუგებრობისა და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად უპრიანი ხომ არ იქნებოდა ქართველ ქალბატონს თავად გაზეთ „საქართველოსათვის" მიგეკითხათ. გარკვეით საქმის ვითარება და შემდგომ დაგებეჭდათ თქვენი „გამანადგურებელი" განაცხადი მთავრობის გაზეთში. განაცხადი, რომელიც კვლავ ინტელიგენციის ელემენტარულ პატიოსნებას საეჭვოს ხდის. თქვენ ბრძანებთ, რომ „გასარკვევია, როგორ იქნა სხვა დანარჩენი ხელმოწერები შეკრებილი". ამ წინადადების ქვეტექსტი მჭვირვალია და ყველასათვის იოლად გასაგები. იატაკქვეშელთა, შეთქმულთა, აგენტთა და დამქაშთა კვალს ეძებთ... იმედს ვერ გაგიმართლებთ, ყოველი ხელმოწერა ნამდვილია: დაგვიჯერეთ, მართლა არ იცით, რომ ასეთი საბუთების ფალსიფიცირება არა ხდება?

ანდა არ შეგზარათ ჩვენმა უბედურებამ, რომ ამოდენი ხანი კომუნისტური დიქტატისაგან ქართველი კაცის ნიჭიცა და ხმის უფლებაც დაპატიმრებული იყო. დადგა ახალი ხანა და ეროვნული მთავრობის დროს, ერის განათლებული საზოგადოებრიობა კვლავ სასიცოცხლო ჟანგბადს, პრესისა და ტელევიზიის თავისუფლებას მოითხოვს.

ახლა კი მთავარ-სათქმელს მოგახსენებთ. ეს მიმართვა თავისი უწყინარი მოთხოვნებით „ტელევიზიის ხელმძღვანელობამ" უჯრაში ჩადო. მაშინ, როდესაც ყველას გვახსოვს, როგორი არტისტიზმით იქნა წაკითხული ტელევიზიის ეკრანიდან ასობით კოლექტიური წერილი, წესიერ ადამიანში უხერხულობის სირცხვილს რომ იწვევდა („ძაფგადასახვევი ფაბრიკა გმობს უნივერსიტეტის პოზიციას", „ქარხნის მუშები აკაკი ბაქრაძეს აზროვნებას უწუნებენ" და ა. შ.). განა ეს საწუხარი არ არის?, განა ეს ნორმალური ქვეყნის ნორმალურ საზოგადოებას შეეფერება?

და ასეთ ვითარებაში თქვენ — განათლების, მეცნიერების და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარეს სიმართლის გარკვევის ნაცვლად, სანთელ-საკმევლის ძიების ნაცვლად ელემენტარული გაუგებრობის გამო მთელ ქართველ ერს ეს მერამდენედ ჩვენი ინტელიგენციის არასაიმედოობაში აჯერებთ. კვლავ თქვენს სიტყვებს მოვიშველიებ: „მიმაჩნია, რომ ასეთი რამ ეთიკური არ არის. მან შეიძლება პროვოცირების ელფერიც მიიღოს და ადამიანთა პოზიციების დაპირისპირების პრეცედენტი შექმნას, რაც მაინც და ყოვლად დაუშვებელია".

საქართველო ყოველ ჩვენთაგანზე მეტია, ქალბატონო მანანა, და ჩვენი ერის, ჩვენი მამულის აღორძინება მხოლოდ წმინდა გულით, მხოლოდ ერთურთის სიყვარულითა და თანალმობითაა შესაძლებელი.

ნუ ჩავსაფრდებით, ნუ გავსასტიკდებით, ძველქართული სიბრძნითა და ერთობით დავიბრუნოთ მტრისაგან ჩაჩქმალი სინათლე სულისა...

პატივისცემით
დავით აქუბარდია

რედაქციისაგან: წერილის ტონი ცოტა უხერხული ხომ არ არის თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელმოწერებში მართლა მანანა კობახიძე ეწერა.

„ოქროს საწმისი"—ეროვნული მოძრაობის მხარდამხარ

საქართველოს ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ორგანომ „ოქროს საწმისმა", კარგა ხანია მოიპოვა თავისი მკითხველი. იგი სწორედ მაშინ იშვა აფხაზეთში, როცა აქ უკიდურესად დაიძაბა პოლიტიკური ვითარება — 1989 წლის ზაფხულში. გაზეთმა იმთავითვე შეულამაზებლად, პირუთვნელად უწოდა სიმართლეს — სიმართლე, სიცრუეს — სიცრუე და იქცა ამ რეგიონში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ წინამძღოლად.

„ოქროს საწმისი" არც ამჟამად ღალატობს თავის პოზიციას, რაზედაც ახლახან გამოსული ამ გაზეთის მორიგი ნომერიც მეტყველებს. მასში დაბეჭდილია უაღრესად აქტუალური, მძაფრი წერილები როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს მტკივნეულ საკითხებზე.

ოქროს საწმისი
ქრისტე აღსდგა!

მკითხველს, უთუოდ დააინტერესებს კარლო მიტროფანოვის პუბლიკაცია, „თეთრი ძაფით შეკერილი სიყალბე, ანუ რეფერენდუმი აფხაზურად", რომელიც 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის აფხაზეთში ჩატარების ფაქტებს ეხება. წერილის ავტორი, ანალიზს უკეთებს აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელთა ამ მოვლენისადმი დამოკიდებულებას და ფაქტების მეშვეობით ააშკარავებს რეფერენდუმის ფალსიფიცირებულ შედეგებს.

აფხაზ ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა ზოგიერთი ნაშრომის არაკომპეტენტურობაზე, მათში ისტორიული სინამდვილის დამახინჯებაზე მოგვითხრობს ვრცელი წერილი — „ფაქტებს ნუ დავამახინჯებთ" — ავტორი, მკვლევარ-მეცნიერი ვალერიან ზუხბაია.

გაზეთში რუსულ ენაზე დაბეჭდილია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ჯემალ გამახარიას წერილი „საქართველოს ანექსია და „აფხაზური საკითხი", რომელიც ამ რეგიონში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისადმი არის განკუთვნილი. იგი მკითხველებს მოუთხრობს ათეული წლის წინ მომხდარ ისტორიულ ფაქტზე.

ასევე რუსულ ენაზე დასტამბულია შ. ცხვედიანის წერილი „იქნებ კმარა, ბატონებო-ამხანაგებო!?". ეს არის პასუხი-განმარტება ა. სოლჟენიცინის „როგორ მოვაწყოთ რუსეთი", სადაც აკადემიკოსი შეურაცხყოფს ქართველ ერს.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობს აგრეთვე 31 მარტის საქართველოს რეფერენდუმსა და საკრებულოების არჩევნებს, სხვა საინტერესო მასალებს, რომელთაც, ალბათ, გულისყურით წაიკითხავს მკითხველი.

ახალი წიგნი

ნაშრომი განკუთვნილია...

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მეორედ შევსებულ-შესწორებული გამოსცა აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** ნაშრომი — **„წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა** (ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა)" **აკაკი შანიძის** რედაქციითა და წინასიტყვაობით. წიგნი დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში.

ნაშრომში განხილულია ადრექრისტიანული ხანის ანბანურ დამწერლობათა წარმოშობის პრობლემა, კერძოდ ისეთებისა, როგორიცაა კოპტური და გოთური დამწერლობა, სომხური, იბერიული, სლავური დამწერლობები, რომლებიც ანბანური დამწერლობის ერთიან ტიპოლოგიურ ჯგუფს შეადგენს და ხასიათდება მთელი რიგი საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშნებით. ეს დამწერლობები განხილულია ფილოგენეტური განვითარებისა და წინამორბედი ძველსემიტური „კონსონანტურ-სილაბური" დამწერლობიდან საკუთრივ ანბანური სისტემის ჩამოყალიბების ფართო ტიპოლოგიურ ფონზე.

ანბანური დამწერლობის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ნიმუშია ძველი ქართული დამწერლობა, რომლის სტრუქტურისა და წარმოშობის პრობლემას ცენტრალური ადგილი უჭირავს წიგნში.

ნაშრომი განკუთვნილია წერის წარმოშობისა და განვითარების საკითხებით დაინტერესებული ფილოლოგებისა და კულტურის ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის. წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელოდ დამწერლობის თეორიისა და ისტორიის შემსწავლელი სტუდენტებისათვის.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26
წერილების რედაქცია 99-73-24
იბეჭდება საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29
ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა